პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 106 პარასკევი, 12 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 12 მაისი 1922 წ. № 106

შაბათს, 13 მაისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის (ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის) შენობაში შესდგება

მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების ტფილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომა.

საკითხის დიდ-მნიშვნელოვანობის გამო ყველა წევრის თავის დროზე გამოცხადება და დასწრება სავალდებულოა.

დღის წეს-რიგი: 1. პირობათა შეკვრის შესახებ და მიმდინარე საქმეები.

მდივანი: **მეხხი.**

(2—1)

ორშაბათს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე, ზუბალოვის სახელობის სახლის შენობაში შესდგება

მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო თავის დროზე გამოცხადება და დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა.

დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ, 2) მიწად-მოქმედების განყოფილების მოხსენება, 3) მიმდინარე საქმეები.

მდივანი: **მეხხი.**

(2—1)

ვინ და რა მიზეზით შლის გენუის კონფერენციას

გენუის კონფერენცია გამოხატავდა იმედებს ევროპის ხალხთა საკმაო ფართო წრეებისას, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მისი ინიციატორები უსახავდნენ მას ამოცანათ ყველა სახელმწიფოების ურთიერთ თანამშრომლობისა და შეთანხმების ნიადაგზე ევროპის ეკონომიურ აღდგენას და მშვიდობიანობის დამყარებას. მაგრამ კონფერენციის მუშაობის პროცესში აშკარა გახდა, რომ, მიუხედავათ ლამაზი სიტყვებისა ამ თანამშრომლობის და შეთანხმების შესახებ, კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მომავალი „თანამშრომლობის" აუცილებელ პირობათ გამოაცხადეს დამონება და დამორჩილება სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მეორე ჯგუფის მიერ. უკვე ასეთი გეგმები, ამნაირი გაგება მომავალი „თანამშრომლობის" იყო დამარცხება იმ პრინციპების, რომლებიც თავიდანვე წამოყენებული იყო, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, როგორც სახელმძღვანელო ევროპის აღდგენის გეგმის შესამუშავებლად.

ერთი უმთავრესი საკითხთაგანი, რომლის გამო ბრკოლდება კონფერენციის მუშაობის გაგრძელება და ალბათ ახლო მომავალში გამოიწვევს მის უკვე ოფიციალურადაც ჩაშლას, არის უცხოელი ბანკირების და ფაბრიკა ზავოდების ყოფილი მეპატრონეების პრეტენზიები მათთვის მათი საკუთრების დაბრუნების შესახებ, იმ საკუთრების, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ გადასცა მშრომელთ. ამნაირათ ამ რამოდენიმე ათეული კაპიტალისტების ინტერესებისთვის ანტანტის წარმომადგენლები ბარტუ-პუანკარეს და ლოიდ ჯორჯის ხელმძღვანელობით, შლიან კონფერენციას და აფერხებენ ევროპის ეკონომიურათ აღდგენის საქმეს. საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ამ საკითხში, როგორც ყველა დანარჩენშიც გარკვეულია და მტკიცე: ის წარმოადგენს აოხრებული ქვეყნების და აწიოკებული ხალხების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს, გამომხატველია მათი ინტერესების, წინაალმდეგ ერთი მუჭა ბანკირების და მრეწველების გაუმაძღრობისა. ამ მხრივაც სასიცოცხლო ინტერესები საბჭოთა რუსეთის სრულიად ეთანხმება ქვეყნის განვითარებისა და ხალხთა კეთილდღეობის ინტერესებს. ამაშია სხვათა შორის სიძლიერე საბჭოთა დელეგაციის გამოსვლების და, მეორე მხრით, ამავე გარემოების გამო ყოველი კონტრ-გამოსვლა ანტანტის რუსეთის წინაალმდეგ ააშკარავებს მათ „შემრიგებელ" და „შემთანხმებელ" სიტყვების ჭეშმარიტ შინაარსს.

ყოველისფერი ის რაც ხდება დღეს ბუნებრივია, რადგან ბურჟუაზიის მიზანი არასოდეს არ ყოფილა ხალხის კეთილდღეობა, არამედ თავის საკუთარი მოგება უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა. ეს ერთხელ კიდევ ცხად ჰყო გენუის კონფერენციაზე მათმა დამოკიდებულებამ რუსეთისადმი. და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ კონფერენცია იშლება. ის პლატფორმა ევროპის ამაღორძინებელი მუშაობის, რომელიც გამოააშკარავეს ანტანტის წარმომადგენლებმა. დამარცხდა რადგან მიუღებელი შეიქნა რუსეთისათვის მისი მტაცებლური ყაჩაღური ხასიათის გამო და ამ უკანასკნელი გარემოებით ჩვენი თვალის წინ მარცხდება გენუის კონფერენციაც, როგორც გამოხატულება იქ გაბატონებული სახელმწიფოთა ყველაზე უფრო გავლენიანი ჯგუფის მტაცებლური ინტერესების.

მიუხედავათ ამისა ფაქტი რუსეთ-გერმანიის შეთანხმებისა იძლევა სხვა გზას და სხვა საშუალებას იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მოისურვებენ ყაჩაღური პირობების და თვით „გენუის" გარეშე მოაწყონ შეთანხმებას რუსეთთან. ამის მაჩვენებელი ცნობები უკვე არის განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ ნეიტრალურ ქვეყნების შესახებ. იგივე ითქმის ინგლისზე, სადაც რუსეთის ბაზრის დაკეტვა ხელს უწყობს, ქვეყნის განვითარებული კაპიტალისტური ურთიერთობის გამო პერმანენტულ უმუშევრობას, ეკონომიური კრიზისის გახანგრძლივებას და ამ ნიადაგზე ქვეყნის მთელი სოციალ-პოლიტიკური სისტემის შერყევას. აქით აიხსნება ის თავისებური „ოპორტიუნიზმი", რომელსაც იჩენენ მისი წარმომადგენლები რუსეთთან ეკონომიური თანამშრომლობის საკითხში. მდგომარეობა ავალებს! და სწორეთ ეს მდგომარეობა საკმაო მკაფიოთ იყო გამოხატული იმ ტელეგრამაში, რომლითაც მიმართეს ტრედ-უნიონებმა და მუშათა პარტიამ ლოიდ ჯორჯს ექვსი მილიონი შეკავშირებული მუშის სახელით, სადაც ისინი მოითხოვდნენ მისგან საბჭოთა რუსეთის იურიდიულათ ცნობას და მასთან საბოლოო თანხმობის ჩამოგდებას.

დრო და ევროპის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა მუშაობენ საბჭოთა რესპუბლიკების სასარგებლოთ. კაპიტალისტები თავისი ეგოისტური ინტერესების გამო შლიან გენუის კონფერენციას, შლიან „შეთანხმებისა" და ევროპის აღდგენის საქმეს. მაგრამ ისინი ვერ მოახერხებენ ვერც ამ გზით საბჭოთა რუსეთის დამარცხებას, მისი რევოლიუციის მონაპოვართა დალუპვას, როგორც ვერ მოახერხეს მათ ეს სამხედრო ფრონტებზე.

ერთი მორიგი მნიშვნელოვანი საქმე

ამ ჟამად ჩვენში მიმდინარეობს აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ამ დარგს ჩვენი ეკონომიური მოღონიერების საქმეში. აბრეშუმის პარკი წარმოადგენს ძვირფას სავალიუტო საქონელს, რომელსაც საკმაო სახელი აქვს მოხვეჭილი უცხოეთის ბაზარზე და ჩინებულადაც საღდება. აბრეშუმის პარკის ოპერაციის წარმატებითი ჩატარება ხელს შეუწყობს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გაჯანსაღებას და საგრძნობ გავლენას მოახდენს ჩვენი ფულის კურსის განმტკიცებაზედაც.

თვით მეაბრეშუმენი ხომ დიდ იმედებს ამყარებენ ამ წარმოებაზე, რომელიც შეადგენს მათი შემოსავლის საგრძნობ წყაროს. ბევრი მწარმოებელი ამ მეურნეობას უკავშირებს თავის ცხოვრების გაუმჯობესებას, მრავალ მხრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. და ასეთების რიცხვი რესპუბლიკაში მცირე პროცენტს არ შეადგენენ. მეაბრეშუმეობა ძალიან გავრცელებულია ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მას მასიური ხასიათი აქვს. აქ იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელიც ბაზარზე გასატანად თუ არა, შინაურ საჭიროებისთვის მაინც არ მისდევს ამ საქმეს.

რა თქმა უნდა, მეურნეობის ასეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორც ზოგადი სახელმწიფოებრივი ეკონომიკის ისე მცხოვრებთა ინტერესების თვალსაზრისით,—მუშურ-გლეხური მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს და მისდამი დიდ მზრუნველობას იჩენს.

მთავრობამ თავის დროზე მიიღო ზომები მაღალი ღირსების აბრეშუმის თესლის საკმაო რაოდენობის შესაძენად უცხოეთის ბაზარზე და მით შესაძლებლობის ფარგლებში მოამარაგა მეაბრეშუმეები.

შემდეგი ამოცანა მდგომარეობს მომავალი მოსავლის მიზანშეწონილ მოგროვება გამოყენებაში, რომლისაგან მაქსიმალური სარგებლობა უნდა ნახონ როგორც მწარმოებლებმა, ისე სახელმწიფომ. აბრეშუმის პარკის ოპერაცია შეადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას და მისი გატარება დაკისრებული აქვს სასურსათო კომისარიატს. მთავარი საქმე ის არის, რომ მწარმოებელი გლეხობა სახელმწიფოს მიერ აღებულ პარკში დროით იქნას სავსებით დაკმაყოფილებული. ეს დიდად შეუწყობს ხელს როგორც საერთოდ წარმოების განვითარებას შემდეგში, ისე კერძოდ მიმდინარე სეზონში პარკის მთლიანად მოგროვებას სახელმწიფო აპარატის ხელში. ეს გარემოება აგრეთვე მწარმოებლებში და საერთოდ მშრომელ გლეხობაში ნდობას განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და წარმომადგენლებისადმი, რასაც თავის თავადაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

უნდა ითქვას გულახდილად, რომ ამ მხრივ დღევანდლამდე ვერ იყო საქმე შესაფერისად მოგვარებული. ჯერაც ვერ არიან სავსებით და ყველგან დაკმაყოფილებულნი მწარმოებელი გლეხები შარშან ჩაბარებულ პარკისათვის. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას აქვს საპატიო მიზეზები. მრავალ ხელის შემშლელ ობიექტიურ პირობების გამო, პარკის მთელი რაოდენობის გასაღება ვერ მოხერხდა უცხოეთის ბაზარზე, სახელმწიფოსაც არ გააჩნდა საჭირო ფონდი მწარმოებელთა დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება, და მან ერთგვარი უკმაყოფილება და [illegible] გამოიწვია აქ-იქ.

ასეთ არანორმალურ მოვლენას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

და სახალხო სასურსათო კომისარიატმა კიდეც გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით.

დარჩენილი პარკი ახლო მომავალში გაიყიდება საზღვარ-გარედ, ხოლო მის ანგარიშში წინასწარ აღებულ იქნება ავანსი აუცილებელ ხარჯების დასაფარავად და გლეხებისათვის კუთვნილ ფულის მისაცემად; ამ ძველი ვალის ანგარიშში კომისარიატმა უკვე გაიღო 60.000 არშინი ფართლეული, რომელიც დაუყონებლივ დაურიგდება მეაბრეშუმე გლეხებს.

ამასთან ერთად კომისარიატი შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას აბრეშუმის პარკის მომავალი ოპერაციებისათვის. დადგენილია, მიეცეს გლეხებს იმდენი ავანსი, რომელიც დაფარავს პარკის მოსალოდნელ მოსავლის ღირებულების მეტ წილს, თუ შესაძლებელი შეიქნა, მთელ ღირებულებასაც. ავანსის სახით მეაბრეშუმე გლეხებს დაურიგდებათ თითეულ ფუთ ნედლ პარკში 200 ათასი მან. ფულით, 20 არშინი ფართლეული და 2 ფუთი სიმინდი; საამისოდ უკვე გადადებულია 20.000 არშინი ფართლეული.

ეჭვი არ არი, რომ სასურსათო კომისარიატი ამ მიმართულებით განავითარებს მუშაობას, როგორც საკმაო ფონდის შექმნით, ისე მისი დროულად დარიგებით. მეაბრეშუმე გლეხები უნდა იყვნენ სავსებით დარწმუნებულნი და გულდამშვიდებულნი რომ ისინი მთავრობისაგან რიგიან ფასს მიიღებენ დამზადებულ პარკში და მიიღებენ სწორედ დროით. ამისთვის მათ არ მოუხდებათ ხანგრძლივი ლოდინი და ვინმესთან ან სადმე ხშირი სიარული, დროს დაკარგვა და ენერგიის დახარჯვა.

ამის თავდებია ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებს ამ დარგში სახალხო სასურსათო კომისარიატი; ამის თავდებია საბჭოთა მთავრობა, რომელიც მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებას და დაცვას ემსახურება.

გენუის კონფერენცია

რუსეთის პრობლემა

რუსეთის დელეგაციის განცხადება.

ბერლინი. 10 მაისი (გერმანიის რადიო). რუსეთის დელეგაციამ სტეფანის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მას სრულებით არა აქვს განზრახვა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, რითაც წინასწარ იქნება გადაწყვეტილი კონფერენციის შედეგები. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „რუსეთის საკითხს", დელეგატების სიტყვით, მას მოკავშირენი იმგვარად უყურებდენ, რომ მათ სურდათ რუსეთს, ყოველ პირობის გარეშე, მიეღო მოკავშირეთა მემორანდუმი, მაგრამ იგი რუსეთისათვის აღმოჩნდა სავსებით მიუღებელი. რუსეთის დელეგაცია მოვიდა გენუაში შემარიგებელი განზრახვებით და მთელ თავის ტაქტიკას იგი აშენებდა ერთა თანასწორობის პრინციპზე.

გამოურკვევლობა გრძელდება.

ნაუენი 10 მაისი (გერმანული რადიო). ყოველი დელეგაციის მეთაური სცდილობს კრიზისი სასურველად იქნეს დამთავრებული. ლოიდ ჯორჯი აცხადებს: „ჩვენ უფრო მეტი და სერიოზული დაბრკოლებანი გადაგვილახავს, ვინემ არსებობენ ამ ჟამად ჩვენ ამ კრიზისსაც გადავლახავთ". ლოიდ ჯორჯმა გადასწყვიტა მოიცადოს რუსეთის საკითხში საბოლოო შედეგების გამორკვევამდი.

რუსეთის დელეგაციის აზრი

ნაუენი. 10 მაისი (გერმანული რადიო). რუსეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ კონფერენცია ჯერ არ არის დამთავრებული. საერთო აზრი, რომელსაც ადასტურებს გაზეთი „დეილი ქრონიკლ"-ი, ისეთია, რომ ყველასათვის აშკარა შეიქნა კონფერენციის დროებით შეწყვეტის აუცილებლობა.

გზა შეთანხმებისაკენ

ბერლინი. 10 მაისი (გერმანული რადიო). გერმანულ პრესას სწამს, რომ გამონახული იქნება გზები შეთანხმებისათვის. გაზეთები დაწვრილებით იხილავენ საფრანგეთ ინგლისის ურთიერთობაში ცვლილების მოხდენას.

საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ.

ნაუენი. 10 მაისი (გერმანული რადიო). კონფერენციის წრეებში იხილავენ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხს. აღნიშნავენ, რომ ინგლისი პრინციპიალურად თანახმა იყო ეცნო საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ კონფერენციის მოწვევამდის. იტალიაც მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა.

შუამავლები.

ბერლინი. 10 მაისი. (გერმანული რადიო). ლოიდ ჯორჯს ხანგრძლივი ბაასი ქონდა ვირტთან რუსეთის საკითხის შესახებ. ფიქრობენ, რომ გერმანიის ჩარევის წყალობით, რუსეთის პასუხი მოკავშირეთა მემორანდუმზე, შემარიგებელი ტონით იქნება დაწერილი. კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტამ, აგრეთვე იკისრა შუამავლობა საბჭოთა რუსეთისა და ანტანტის დელეგატების შორის.

გენუა. 9 მაისი. (იტალიის რადიო). სტეფანის სააგენტოს ცნობით, კონფერენციის წრეებში, ძალიან სასურველად სცნობენ იტალიის დელეგაციის მუშაობის მსვლელობას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გამონახულ იქნეს ისეთი გზები, რომელიც ხელს შეუწყობდა კრიზისის სასურველად დამთავრებას, რათა ამით შესაძლებელი გახდეს გადალახოს კონფერენციამ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც მას დღეს წინ ელობება.

მოუთმენლად ელიან.

გენუა. 10 მაისი. (იტალიის რადიო). ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს, რომ კონფერენციის ბედი დამოკიდებულია რუსეთის პასუხზე, რომელსაც ყველანი მოუთმენლად მოელიან.

შანცერის ახალი ფორმულა.

გენუა. 10 მაისი. (იტალიის რადიო). მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა შეიმუშავა ახალი იურიდიული ფორმულა მემორანდუმის იმ მუხლისათვის, რომელიც ეხება კერძო საკუთრების საკითხს და რომელიც როგორც ვიცით, ყველაზე მეტს აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. შანცერის ახალი ფორმულის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფოს პრინციპი, საკუთრების ნაციონალიზაციისა, იმ გვარად უნდა დარჩეს ცნობილი, რომ ყოფილ მესაკუთრეთ უზრუნველყოფილ ექნეთ უფლება მათი საკუთრებით სარგებლობისა. შანცერის ფორმულის მიზანია გამონახოს საშუალო გზა მოწინაალმდეგე ტეზისებს შორის. იტალიის დელეგაციის წრეებში ფიქრობენ, რომ შანცერის ღონისძიებანი მიმართულია არა მარტო კონფერენციის დასახსნელად, მისი ჩაშლის წინაალმდეგ, არამედ იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს იტალიის მთავრობის პოლიტიკის გამარჯვება, რომელსაც შემდეგი მიზნები აქვს დასახული: 1. ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდება, 2. ეკონომიური აღორძინება, 3. საერთაშორისო ურთიერთობის აღდგენა. შანცერის სახელმძღვანელო იდეა ნათლად ხასიათდება იმ შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ექნება კონფერენციას ევროპის სახელმწიფოთა მომავლისათვის. თუ კონფერენცია დასრულდა რუსეთთან კოლექტიური შეთანხმებით, მაშინ ანტანტა კონფერენციიდან გამოვა უფრო განმტკიცებული პრესტიჟით. ხოლო, პირიქით, თუ ეს შეთანხმება არ მოხერხდა, ის წინააღმდეგობანი, რომელიც დღეს არსებობს სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის, რუსეთის საკითხის შესახებ, უფრო გაღრმავდება და მიგვიყვანენ ძლიერ სერიოზულ დაბრკოლებათამდის, რაც საჭიროა ეხლავ თავიდან ავიცილოთ. ამიტომ შანცერის მოქმედება, არა მარტო ჰუმანიტარული და იდეალისტურია, არამედ სავსებით პრაქტიკული. იტალიის დელეგაცია ნამდვილ რაელურ საქმეს ემსახურება, რომელიც გათვალისწინებულია მომავლის შეგნებით.

პუანკარე განმარტებას იძლევა.

ბორდო 10 მაისვ (ფრანგული რადიო). პუანკარემ წერილით მიმართა პრეზიდენტ გარდინგს, სადაც იგი დაწვრილებით განმარტებას იძლევა საფრანგეთის იმ პოზიციის შესახებ, რომელიც მან დაიკავა რუსეთში კერძო საკუთრების დაბრუნების საკითხში.

— ლონდონის გაზეთები მოწინავე წერილებს უძღვნიან კერძო საკუთრების საკითხს. თითქმის ყველა გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთში, ყოფილ მესაკუთრეთათვის, ქონების დაბრუნების საკითხს მრავალი დაბრკოლება ელობება წინ. მიუხედავათ ამისა, ლონდონის გაზეთების გენუელ კორესპონდენტების საერთო აზრი ისეთია, რომ ამ საკითხში რაიმე გადაწყვეტილება უეჭველად იქნება მიღებული.

კრედიტები რუსეთისათვის.

პარიზი. გაზეთ „მატენ" ის ცნობით რუსეთის დელეგატები მოითხოვენ გაეხსნას რუსეთს 430 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტი.

კონფერენციის გადადების შესახებ.

ლონდონი. გაზეთი „დეილ-მეილი" გადმოგვცემს, რომ კონფერენციის წრეებში იხილავენ კონფერენციის მუშაობის 6 თვით გადადების საკითხს, რათა რუსეთს საშუალება მიეცეს გაერკვიოს შექმნილ მდგომარეობაში. ამ წინადადებას წამოაყენებენ მაშინ, თუ „ბოლშევიკები დაჟინებით განაგრძობენ თავიანთ შეუძლებელ მოთხოვნილებათა წარდგენას".

პაპი პიი მეთერთმეტეს სურვილები.

გენუა. 10 მაისი (იტალიის რადიო). იმ სახელმწიფოთა დელეგატებმა, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ ვატიკანთან, მიიღეს ტექსტი პაპის იმ მოწოდებისა, რომელიც მან გაუგზავნა კარდინალ გასპარის გენუის კონფერენციის შესახებ, ამ წერილთან დელეგაციებს გადაეცათ აგრეთვე შემდეგი მემორანდუმი: „ბარათი წმიდა მამისგან 29 აპრილის თარიღით, სტატს-სეკრეტარის სახელზე, რომელსაც რწმუნება ქონდა ვადაეცა იგი იმ სახელმწიფოთა დელეგაციებისათვის, რომელთაც ურთიერთობა აქვს წმ. ტახტთან,—გენუის კონფერენციის ხელსაყრელ შედეგების სურვილების შესახებ. ეს სურვილები განსაკუთრებით შეეხება რუსის ხალხს. წმ. ტახტი სარგებლობს იმ შემთხვევით, რომ კონფერენციას ესწრება ის სახელმწიფონი, რომელთანაც მას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მათთვის მემორანდუმის გადასაცემად. მემორანდუმში აღნიშნულია სასურველობა, მიექცეს სათანადო ყურადღება დღევანდელ ისტორიული მომენტის იმ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის, კულტუროსან სახელმწიფოთა ოჯახში დაბრუნებასთან. წმ. ტახტს სურს, რომ რელიგიის ინტერესები, რომელიც ყოველგვარ ცივილიზაციის საფუძველია, დაცული იქნეს რუსეთშიც. ამიტომ წმ. ტახტი მოითხოვს, რომ იმ შეთანხმებაში, რომელიც მიღწეულ იქნება გენუაში მყოფ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის, შეტანილ აქნეს, სულ ერთია როგორ ფორმაში, მაგრამ სავსებით გარკვეულად შემდეგი დამატებითი მუხლები: 1. რუსეთში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სინდისის სრული თავისუფლება, როგორც რუსი მოქალაქეთათვის, ისე უცხოელებისათვის. 2. უზრუნველ ყოფილ იქნეს აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი აღსარება რელიგიისა და კულტის. ეს უკანასკნელი დამატებითი მუხლი გამოწვეულია იმ განცხადებით, რომელიც გააკეთა გენუაში რუსეთის დელეგატმა ჩიჩერინმა. პაპის წერილი და მემორანდუმი შედგენილია ფრანგულ ენაზე: იგი გადაეცა კონფერენციის თავმჯდომარეს. კონფერენციის პრეზიდიუმთან ახლო წრეებში ამტკიცებენ, რომ ვატიკანი მომავალში არავითარ ახალ დამატებითი მუხლებს აღარ წარმოადგენსო.

ანტანტის დაშლა

ჭორი.

ბერლინი. 0 მაისი, (გერმანული რადიო). ლოიდ ჯორჯი ცხარედ უარყოფს გაზეთ „ტაიმს"-ის ცნობას, თითქოს მას ბარტუსთან ბაასის დროს ეწინასწარმეტყველებიოს ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულებაში განხეთქილების ჩამოგდება. ამ ცნობას ინგლისის პრემიერი უწოდებს „წმინდა წყლის ჭორს". ამგვარივე განცხადება გააკეთა ჩემბერლენმა თემთა პალატაში; მან განაცხადა, რომ „ტაიმსი"-ს ცნობა მოსწრებული და წინად მოფიქრებული ჭორია. ყოველ შემთხვევაში, ჩემბერლენის აზრით, ეს ჭორი გამოგონებულია ცუდი განზრახვებით.

ბერლინი. 10 მაისი. (გერმანული რადიო). ბარტუმ მიმართა ლოიდ ჯორჯს ბარათით, სადაც იგი იმედს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება არ იქნება შეცვლილი.

ლოიდ ჯორჯის მდგომარეობა.

ნაუენი. 10 მაისი. (გერმანული რადიო). ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ გაიმართა დიდი კამპანია იმ მიზნით, რომ იგი აიძულონ გადადგეს. ამ კამპანიას მეთაურობს ნორდკლიიფი. მაგრამ, მიუხედავათ ოპოზიციის გაძლიერებისა ლოიდ ჯორჯის მდგომარეობა მაინც იმდენათ საკმაოდ ძლიერია, რომ მას არ ეშინია კონსერვატორების საწინააღმდეგო გამოსვლების.

— გენუის კონფერენციის წრეებში თანდათან მტკიცდება ის, აზრი, რომ ლოიდ ჯორჯის მდგომარეობა უკვე განმტკიცებულია, მთელი რიგი იმ კრიზისებისა და მერყეობის შემდეგ, რომელიც განიცადა კონფერენციამ. ლოიდ ჯორჯს „პლიუსათ" სწორედ იმ გარემოებას უთვლიან, რომ მან შეაცვლევია მცირე ანტანტას პოზიცია, რომელიც ეხლა დათმობაზე მიდის რუსეთის ბევრ საკითხებში. კომპრომისი სხვა სახელმწიფოებთან შესაძლებელია საგარანტიო საერთო ევროპიული ხელშეკრულებით, რომელსაც ამ ჟამად ამზადებს ლოიდ ჯორჯი.

ვინ შლის კონფერენციას

სანტა მარგარიტა, 7 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო. მოსკოვით). რუსეთის დელეგაციამ პრესაში გამოააშკარავა კონფერენციის ნამდვილი საბოტაჟნიკები. მაგალითად, ფრანგები ავრცელებენ ცილისწამებას, რომლითაც პასუხისგებას კონფერენციის ჩაშლაზე აკისრებენ რუსეთს. დღეს პრესის შენობაში პანიკაა. ამბობენ რომ რუსეთის თვალსაზრისი შეურიგებელია. მაგრამ ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ, რათაც უნდა დაჯდეს, შეთანხმება მაინც მოხდება. გავრცელდა ხმები თითქოს იტალიამ შეძლო დაერწმუნებია მოკავშირენი დათმობის აუცილებლობაში.

კონფერენციის გარშემო

იაპონიის დელეგაციის განცხადება.

გენუა. 10 მაისი (იტალიის რადიო). იაპონიის დელეგაციამ გენუაში გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც იგი უპასუხებს რა რუსეთის ნოტაზე, ციმბირის ოკუპაციის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს ოკუპაცია საჭირო იყო ჩეხო-სლოვაკიის ჯარების ევაკუაციის უზრუნველსაყოფად და იაპონელ მოქალაქეთა დასაცავად.

ლოიდ ჯორჯი და ფაქტა.

გენუა. 10 მაისი (იტალიის რადიო) 9 მაისს, ლოიდ ჯორჯმა, კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტასა და იტალიის დელეგაციის პატივსაცემად გამართა საუზმე.

ამერიკა და რუსეთის საკითხი.

ბორდო: 9 მაისი (რადიო მოსკოვით). გაზეთ „პეტი პარიზიენის" ცნობით ამერიკა მზად არის მონაწილეობა მიიღოს რუსეთის საკითხის

წითელი პრესა

მშვიდობიანობის მაგიერ—ახალი ომები.

მოსკოვის „პრავდა" ეხება გენუის კონფერენციის მუშაობას და ასეთი სიტყვებით გამოხატავს მის შინაარსს:

„თავს უშველე ვისაც შეგიძლია! ხელი მოავლე ყოველისფერს რაც გლახათ სძევს! გაძარცვე ყველა ვინც ხელში მოგვხდეს!—აი მხოლოთ ასეთია რეცეპტები, რომლებიც ხმამაღლა და უორაზროვნოთ აღიარა ბურჟუაზიამ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იყო თითქოს იმ მიზნით, რათა დაემყარებიათ დაბოლოს მშვიდობიანობა ამ ქვეყნათ.

მშვიდობიანობის მაგიერათ კი—მზადება ახალი ომებისათვის, მეურნეობის აღდგენის მაგივრათ—ძარცვა-გლეჯა—ასეთია უმახლობლესი პერსპექტივები თუ ძალა-უფლება კვლავ ბურჟუაზიას შერჩება ხელში."

⁂

ისევ ჩიხში.

იმავე გაზეთში ამხ. დვოლაიცკი არჩევს საკითხს მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და მიდის შემდეგ დასკვნამდი:

„კაპიტალისტური ქვეყნიერება კვლავ ჩიხში მოემწყვდა. იქიდან თავის დასაღწევათ ის მიმართავს სახიფათო საშუალებას: მუშების წინააღმდეგ აშკარა კლასიურ ომს. ეკონომიურათ კაპიტალისტები დღეს დღეობით მუშებზე უფრო ძლიერნი არიან და ამ ნიადაგზე ომს მუშები ვერ მოიგებენ. ყველა იმ დანაშაულობისთვის, რაც იმპერიალისტებმა ჩაიდინეს, მთელი იმ აოხრებისთვის, რომელიც ქვეყნიერებას მიაყენა საშინელმა იმპერიალისტურმა ხოცვა-ჟლეტამ, ყოველივე ამისთვის პასუხს აგებინებენ მუშებს, მათ სდებენ ზურგზე მთელ სიმძიმეს მისი შედეგებისას, თუ ისინი ხელში არ მოიმარჯვებენ ბრძოლის სხვა იარაღს, თუ ბრძოლა თავის მშიერი მდგომარეობის დასაცავათ ადგილს არ დაუთმობს ბრძოლას კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევათ. ეს ახლა მარტო თეორია კი არ არის, ამისკენ მოუწოდებს დღეს მუშათა კლასს ყოველ ნაბიჯზე მისი პრაქტიკა და ეჭვი არ არის, რომ ახლო მომავალში ჩვენ კვლავ შევიქნებით მოწამენი რევოლიუციონური ბრძოლის ახალი გრანდიოზული ტალღის მთელს ქვეყნიერებაზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიაში, რომელსაც ალბად დააარსებენ კონფერენციის დამთავრების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთთან შეთანხმება მოხერხდა.

კერძო საკუთრების საკითხი.

ლიფფილდი, 9 მაისი, (რადიო მოსკოვით). ლოიდ ჯორჯი, რომელიც სცდილობს დაითანხმოს საფრანგეთი და ბელგია შეურთდენ საერთო მემორანდუმს, აღნიშნავს, რომ მემორანდუმის მეშვიდე მუხლი, რომელიც ეხება უცხოელთა კერძო საკუთრების უფლებას რუსეთში, შემუშავებულ იქმნა ბრიტანეთისა და საფრანგეთ-ბელგიის წინადადებათა კომპრომისების შემდეგ. ამრიგად საფრანგეთისა და ბელგიის ექსპერტებმა არა თუ იცვეეს, არამედ ინგლისელებთან ერთად შეიმუშავეს ის მუხლი, რომლის შესახებაც შემდეგში.... (დასასრული არ არის მიღებული).

ჰანოვერი. 9 მაისი. (რადიო მოსკოვით). ლოიდ ჯორჯის განზრახვა აქვს კონფერენციის შემდეგი მუშაობის გასაადვილებლად, სრულებით ამოშალოს მემორანდუმიდან მეშვიდე მუხლი იმ შენიშვნის თანდართვით, რომლითაც უცხოელთა კერძო საკუთრების საკითხი რუსეთში, უნდა გადაწყდეს განსაკუთრებული მოლაპარაკებით საბჭოთა მთავრობისა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის.

რუსეთის დელეგაციის წევრები არ ფიქრობენ, რომ არსებულ პირობებში კონფერენციის მუშაობა იქმნეს შეწყვეტილი.

ჩიჩერინისა და ლიტვინოვის შეხვედრა ლოიდ-ჯორჯთან.

სანტა-მარგარიტა. 7 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს რადიო მოსკოვით). დღეს მოხდა შანცერის თანადასწრებით, ჩიჩერინისა და ლიტვინოვის შეხვედრა ლოიდ-ჯორჯთან. ორივე მხარე ისევ ძველ პრინციპზე სდგას, საბჭოთა დელეგაციამ მიუთითა საბჭოთა მთავრობისათვის სავაჭრო და ფულის კრედიტების გახსნის აუცილებლობაზე. ლოიდ ჯორჯმა აღიარა კრედიტის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მას ძალიან დიდათ მიაჩნია ყოველთვიურად მილიარდი მანეთის ციფრი; მას სხვა გარკვეული ციფირი არ დაუსახელებია.

ჩეხო-სლოვაკია და რუსეთი.

ბორდო. 8 მაისი (რადიო მოსკოვით) გაზეთი „ჟურნალი“ იტყობინება, რომ ჩეხო-სლოვაკიასა და საბჭოთა მთავრობის შორის დაიდვა რაპალოს მზგავსი ხელშეკრულება.

რეპერაციული გადახდანი

ბორდო. 8 მაისი (რადიო მოსკოვით . გაზეთი „ეხოდე-პარი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯმა აცნობა ვირტსა და რატენაუს, რომ ინგლისი უარს ამბობს მის კუთვნილ რეპერაციულ გადახდებზე.

საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმება

ვენა. 8 მაისი (რადიო. მოსკოვით). გენუის ინგლისური წრეები გადმოგვცემენ, რომ განზრახულია საფრანგეთ ბელგიის შეთანხმება რუსეთში საერთაშორისო ფინანსიური კომისიის გასაგზავნად. კომისიის გაგზავნა შეაფერხებდა კომისიის მუშაობას მხოლოდ რამოდენიმე კვირით.

რუსეთის საკითხის შესახებ

ეილვეზე. 8 მაისი (რადიო მოსკოვით). გენუაში უიმედობა სუფევს ამბობენ, რომ ლოიდ ჯორჯი თავბრუდახვეულია და მას არ სწამს კონფერენციის ნაყოფიერობა, საფრანგეთისა და ბელგიის მიერ დაკავებული პოზიციის გამო. თითქო მოელიან რუსეთის უარყოფით პასუხს მოკავშირეთა მემორანდუმზე.

დ'ანუნციო კონფერენციის შესახებ.

რომი. 6 მაისი, (რადიო მოსკოვით). იტალიურ გაზეთებში მოთავსებულია დ'ანუნციოს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდების ყოველი ცდა უნაყოფოდ მთავრდება. დ'ანუნციო დასცინის ლოიდ-დორჯს, რომელმაც ვერ შესძლო მიერთმია კონფერენციისათვის უბრალო ნივთი, ვერსალის ხელშეკრულების მზგავსათ, რომელიც კოლუმბის კვერცხია. დ'ანუნციოსათვის გაუგებარია აღშფოთება და გაკვირვება ვერსალის ზავის დაუნდობელი ავტორებისა.

განა თვითონ მათ, ამბობს ის, გაუმაძღარ გამარჯვებულებმა, არ აიძულეს გერმანია დადგომოდა რევანშის გზას?“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ევროპის დახმარება.

მოსკოვი. 11 მაისი (რადიო). სიმფეროპოლში ჩამოვიდა კომინტერნის საერთაშორისო დახმარების კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან გერმანელი კომუნისტები. კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საზღვარგარეთელი ამხანაგები – მუშები მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ რუსეთის მუშათა კლასს და იზიარებენ მის ბრძოლას სოციალიზმის დასამყარებლად. მათ არ შეეძლოთ არ გამოხმაურებოდენ რუსეთის მუშათა კლასის მოწოდებას დახმარების შესახებ. ყველგან იკრიბებოდა შემოწირულება და ხდებოდა გადარიცხვა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ. დაარსებულია რამოდენიმე მილიონიანი დახმარების ფონდი. ვყიდულობთ სურსათ-სანოვაგეს, თესლეულობას, მედიკამენტებს, უპირველესი მოთხოვნილებისა და ფართო მოხმარების საგნებისა და საწარმოო იარაღებს. რამოდენიმე გემი უკვე გაიგზავნა ჩრდილოეთის ნავთსადგურებში, რამოდენიმე სამარშრუტო მატარებელი ვოლგის მხარეში.

საზღვარ-გარეთელი ამხანაგები მოხარული არიან თავისი მცირეოდენი დახმარებით გადაუხადონ თავიანთი ვალი რუსეთის პროლეტარიატს, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში მაღლა უჭირავთ რევოლიუციის წითელი დროშა.

პასტერის სახელობის ინსტიტუტი ყოველდღიურათ გზავნის რიგაში რუსეთისათვის 10 ტონზე მეტ მედიკამენტებს, დამშეულთა დასახმარებლად. ამ უახლოეს ხანაში ინსტიტუტი გზავნის რუსეთში 5 მილ. ფლაკონ დიფტერიტის საწინააღმდეგო სითხისას, 1 მილიონ ფლაკონ ყვავილის შრატისას, 6 მილ. ფლაკონ ტიფის საწინააღმდეგო სითხისას და 2 მილ. ფლაკონს ხოლერის საწინააღმდეგო ასაცრელ შრატისას.

სამეურნეო ფრონტზე

მოსკოვი 11 მაისი (რადიო). კომინტერნის წევრებმა, რომელნიც ჩავიდნე ნიჟნი-ნოვგოროდში ადგილობრივ მუშაობის გასაცნობათ ინახულეს ბალახნა, სადაც დაათვალიერეს ის სამუშაო, რომელიც სწირმოებს ახალი სალაროვი ელექტრონის სადგურის მოსაწყობად. მუშების მხურვალედ შეხვედრის შემდეგ, სტუმრებმა განუცხადეს მათ, რომ ისინი გააცნობენ საზღვარ გარეთის მუშებს იმ საგმირო მოქმედებას, რომელსაც აწარმოებს რუსეთის პროლეტარიატი სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში და აგრეთვე აღუთქვეს მათ რომ ისინი შესცდებიან თავიანთი ამხანაგების მუშაობა მიმართონ რუსეთის მშენებლობისა და დამშეულთა დახმარებისაკენ.

საქონელი საზღვარ-გარეთიდან

მოსკოვი 11 მაისი (რადიო). ოდესაში მოვიდა პირველი გემი ტრიესტინის ლლოიდისა, რომელმაც მოიტანა 1200 ტონი სხვა და სხვა საქონლისა. გემი გაბრუნდა 200 ტონი საკ.ინლით.

— ნოვოროსისკში 26 აპრილს მოვიდა გემი „სმირნა,“ რომელმაც მოიტანა მიწათმოქმედებ ს სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სახელზე 2.886 ტონი სიმინდი. მოვიდა აგრეთვე ნორვეგიის გემი „ვინდეკენი, 4.000 ტონი ქერით.

— ნოვოროსისკის ნავთსადგურში 28 აპრილიდან 30 აპრილამდე გამოტვირთულ იქნა 452 ვაგონი სიმინდი, 10 ვაგონი ფქვილი, 4 ვაგონი მედიკამენტები, 137 ვაგონი ქერი და 20 ვაგონი ფქვილი.

ამხ. ლენინის ჯამრთელობა.

მოსკოვი. 11 მაისი (რადიო) მოსკოვის საბჭოს პლენუმში, მთელ რიგ შეკითხვების გამო, ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა სემაშკომ განაცხადა, რომ ამხ. ლენინის ჯანმრთელობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. ამ ჟამად იგი სახელმწიფოს დიდი მნიშვნელობის საკითხებზე მუშაობს. „იმედი უნდა ვიქონიოთ, სთქვა სემაშკომ, რომ ჩვენ ძლიერ ჩქარა და ვინახავთ ამხ. ლენინს ხელახლა თავის სამუშაოზე“. სემაშკომ აღნიშნა, ესერების ღალატი, რომელთაც 1918 წ. თავდასხმა მოახდინეს ლენინზე და ესროლეს მას ასაფეთქებელი ტყვია, რომელიც რაღაც ბედნიერ შემთხვევაში არ გასკდა მაშინ და მხოლოდ ეხლა იქნა ამოღებული.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საკონტრიბუციო პრობლემა.

ბერლინი. 10 მაისი, (რადიო) 9 მაისს გაიმართა გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების თათბირი. ოსმენილ იქნა მოხსენება ვიცე კანცლერ ბაუერისა და ფინანსთა მინისტრის გერმესისა, კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე კონტრიბუციის საკითხი.

ნაუენი. 10 მაისი, (რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით, ლოიდ-ჯორჯმა აცნობა გერმანიის დელეგაციას, რომ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი 31 მაისამდის უარყოფს საკონტრიბუციო კომისიის დადგენილებას, გერმანიას შეუძლია უშუალო მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისთან.

მუსტაფა-ქემალ ფაშის უფლებები.

ბორდო. 10 მაისი, (რადიო). ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ განუგრძო მუსტაფა - ქემალ ფაშას რწმუნებულება და უფლებები, ჯარების მთავარსარდლობისა და სახელმწიფოს მეთაურისა, კიდევ სამი თვით.

დამოუკიდებელი კროაცია.

ბორდო. 10 მაისი, (რადიო). გაზეთი „ჟურნალ“-ი იტყობინება: „ხალმა კროაციამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამორჩეულია დროებითი მთავრობა მთავრობის თავმჯდომარეთ ამორჩეულია რადიკი.

ქრონიკა

◆ **ყველა ამხ. ჟურნალისტებს.** დაიწყო 6 მაისს და გაგრძელდება 15 მაისამდი განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ ჟურნალისტთა ცეხის წევრთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ დღე 11—2 საათამდე კავშირის ცენტ. გამგეობის შენობაში (მუშათა სასახლე მე-3 სართული, ოთახი № 37) ჟურნალისტთა ცეხის დროებითი ბიუროს ამა წლის 5 მაისის დადგენილებით ჟურნალისტთა კავშირის ყველა წევრთათვის სავალდებულოა მიიღონ მონაწილეობა ცეხში.

◆ **დახმარება ავადმყოფებს.** რომლებიც იმყოფებიან საავადმყოფოებში სამკურნალოდ, მიეცემათ ოჯახის პატრონებს ჯამაგირის ორი მესამედი და მარტოხელებს 1 მესამედი. დახმარების ეს რაოდენობა ვრცელდება აგრეთვე კურორტის ავადმყოფებზედაც.

◆ **ჟურნალი „მომავალი“.** გამოვიდა, საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „მომავალი.“ № 4 და 5 შემდეგი შინაარსით: 1. რ. კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა. 2. სამი ინტერნაციონალის კონფერენცია. 3. ახალი ისტორიული დატა—კ. გორდელაძე. 4. „ორი გზა“—დ. გვაზავა. 5. ევოლიუცია და რევოლიუცია—დ. აროშიძე. 6. საწარმოო ძალები და მათი როლი საზოგადოებაში—მ. კ. 7. კაპიტალიზმის ევოლიუცია—გ. სულორელი. 8. ახალგაზდობის კომუნისტური ინტერნაც. 9. პარიზის კომუნა—კ. მარქსი. 10. ნაწყვეტები მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობიდან—გერასიმე. 11. ჩვენი დროის ინტელიგენცია—კ. ორაგველიძე. ჟურნალი ღირს 20,000 მან.

◆ **ტეხნიკურ საზოგადოებაში.** დღეს, 12 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე, პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ. № 70), შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ. ი. ვაწაძეს მიერ შემდეგ თემაზე: „ცენტრალური ელექტრონული სადგურის მოწყობის შესახებ“.

— **სახალხო სახლი.** დღეს, 12 მაისს, სეზონის დასრულების თავზე, პირველად სახალხო სახლის სცენაზე, წარმოდგენილი იქნება სოსო რომანიშვილის რეჟისორობით ნ. გერგესელის ორიგინალური პიესა „გზა ჯვარედინზე“, 4 მოქ მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

— **საქართველოს სამხატვრო აკადემია.** სახალხო განათლების კომისარმა დ. კანდელაკმა და მისმა მოადგილემ მარიამ ორახელაშვილმა დაათვალიერა სამხატვრო აკადემია. კომისარი პირადად დარწმუნდა, რომ აკადემიის ნაყოფიერ მუშაობას აფერხებს აკადემიისათვის შესაფერი შენობის უქონლობა. ამხ. კანდელაკი აკადემიის ხელმძღვანელთ დაპირდა, აკადემიას დაუთმოს ტფილისში არსებული რომელიმე ტეხნიკუმის შენობა.

— **გამოცდები სამხატვრო აკადემიაში.** 15 მაისიდან დაიწყება სამხატვრო აკადემიაში გამოცდები საერთო ხატვაში და გაგრძელდება 17 მაისამდე (ნაშუადღევის 3 საათიდან 6 მდე).

— **სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს საზეიმო სხდომა.** მაისის 14 ს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის შენობაში (გრიბოედოვის ქუჩა № 24), დანიშნულია სამხატვრო აკად. პროფესორთა საბ. საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოწვეულია სახალხო განათლების კომისარი, ხელოვნების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის წარმომადგენელი და სხ.

— **სარეპერტუარო კომისიის დაარსება.** 1 აპრილიდან, სალიტერატურო და სათეატრო განყოფილებასთან დარსდა შეერთებული სარეპერტუარო კომისია. კომისია შესდგება 7 კაცისაგან: რაჟდენ კალაძე, შალვა დადიანი, ს. აბაშელი, ნინო ნაკაშიძე. დუტუ მეგრელი, ტიციან ტაბიძე და ობოლი მუშა. კომისიის მოვალეობაა: 1) გაარჩიოს ყველა ახლად დაწერილი ორიგინალი, ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები. 2) გადაარჩიოს ძველი დრამატიული ნაწარმოები, გაცხრილოს და შემდეგ შეიტანოს საერთო რეპერტუარში. 3) გამოსცეს ნებადართულ და მოწონებული პიესების სია. 4) გამოაცხადოს მუდმივი კონკურსი ახალ პიესებისათვის და ამისათვის შეიმუშაოს განსაკუთრებული წესი. 5) რესპუბლიკაში უნდა იდგმებოდეს მხოლოდ ამ სარეპერტუარო კომისიის მიერ მოწონებული პიესები. კომისიის დადგენილებანი ყოველთვის სავალდებულოა. ახლო მომავალში მთელი რესპუბლიკისათვის შედგენილი იქნება რეპერტუარი, რის შემდეგ კომისიის ნებადაურთავი პიესის დადგმა სასტიკათ აკრძალული იქნება.

— **სარეპერტუარო კომისიის სხდომა.** მაისის სხდომაზე სარეპერტუარო კომისიამ რაჟდენ კალაძის წინადადებით დაადგინა კომისიის წევრებს მოხსენებისათვის მიეცეს 100 ათასი მან. 300 ათას მანეთამდე, იმის მიხედვით თუ რა ხასიათის იქნება მოხსენება.

— **სარეპერტუარო კომისიის სხდომების დღე.** 6 მაისის სხდომაზე სარეპერტუარო კომისიამ, აგრეთვე, დაადგინა კომისიის სხდომა კვირეში ხდებოდეს ერთხელ, ორშაბათობით განათლების კომისარიატის შენობაში.

— **ვასო ბალანჩივაძის იუბილე.** ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელმა ივანე პურადაშვილმა აღძრა შუამდგომლობა ხელოვნების მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა სათანადოთ გადახდილი იქნეს დამსახურებულ მსახიობის ვასო ბალანჩივაძის იუბილე.

— **ალ. წუწუნავას მოხსენება ქართული დრამის შესახებ.** რეჟისორი ალ. წუწუნავა ამ მოკლე ხანში წაიკითხავს საჯარო ლექციას ქართული დრამის მდგომარეობის და მისი მომავალის შესახებ.

— **სამხატვრო აკადემიის მდგომარეობა** რადგან სამხატვრო აკადემიას ამ ჟამად არავითარი სახსარი არა აქვს თავის დანიშნულების უშუალოთ შესრულებისათვის, ამიტომ აკადემიის რექტორმა პროფ. ჩუბინაშვილმა აღძრა შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარის წინაშე, რათა აკადემიას აღმოეჩინოს დახმარება სათანადო კრედიტის გახსნით.

— **სამხატვრო აკადემიის მსმენელთა რიცხვი.** აკადემიის თავისუფალ მსმენელთა და სტუდენტთა რიცხვი აღწევს 300-ს. დეკანთა კორპორაციის მიერ შემუშავებულია თითოეულ ფაკულტეტისათვის ცალ-ცალკე სათანადო პროგრამა და მუშაობის გეგმა.

— **დავით კლდიაშვილის იუბილე ბათომში.** სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ბათომის ფილიარული განყოფილების ინიციატივით გაიმართება დამსახურებულ მწერლის დავით კლდიაშვილის იუბილე. იუბილეს დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **გრიგოლ რობაქიძის ახალი მისტერია ,,ვაზის ჯვარი‘‘.** გრიგოლ რობაქიძემ დასწერა ახალი პიესა-მისტერია ,,ვაზის ჯვარი‘‘.

— **საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ჟურნალი ,,ლაშარი‘‘.** მაისის დამლევს გამოვა საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ყოველთვიური ჟურნალი ,,ლაშარი‘‘. სარედაქციო კოლეგია თხოვს კავშირის წევრებს, მასალები მიაწოდონ მაისის 20-დე.

— **,,ლონდა‘‘ ფრანგულად.** გრიგოლ რობაქიძის ,,ლონდა‘‘ პოეტმა სერგეი რაფალოვიჩმა გადათარგმნა ფრანგულად.

— **რუსთაველის თეატრი.** შაბათს, 13 მაისს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა სამეგრელოს ცხოვრებიდან ,,გეგეჭკორი‘‘. უმთავრესს როლებს შეასრულებენ: შალვა დადიანი, აკაკი ვასაძე, ვ. გამყრელიძე, ელო ანდრონიკაშვილი და სხ.

— **,,ლომისი‘‘** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი ,,ლომისი‘‘ ფართე შინაარსით.

თეატრებში 12 მაისს.

ოპერა.—წარმოდგენა გალლის „ევგენი ანეგინი“.

რუსთაველის თეატრი.—სომხური წარმოდგენა.

პატარა თეატრი.—თურქული წარმოდგენა.

სახალხო სახლი.—ქართული წარმოდგენა.

საკამერო თეატრი.—სომხების საზოგადოების წარმოდგენა.

ცენტრალური მუშათა კლუბი.—წარმოდგენა მინიატიური.

საქართველ. წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბი—სომხური წარმოდგენა.

თეატრი ბოგება — იუმორისტული პროგრამა.

პროფ. კავშირთა საბჭოს კლუბი—ლიტერატურული საღამო.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრებში.

არფასტო—ახალი პროგრამა.

ხარკის—საზიზღრობის დალი

კინო არს—ბუფალოს ბენეფისი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების საკავშირო საბჭო

8 მაისის სხდომა.

8 მაისს ამხ **მიასნიკოვის** თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც, გარდა თბილისში მყოფ საკავშირო საბჭოს წევრებისა დაესწრნენ აგრეთვე აზერბეიჯანიდან ჩამოსული საკავშირო საბჭოს წევრები. სხდომაზე განხილულ იქნა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის საკითხი. დაადგინეს ამიერ კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილედ დაინიშნოს ამხ. **გაჯინსკი** და წინანდელი კოლეგიის ნაცვლად შესდგეს კოლეგია ამხანაგების გაჯინსკის და ტეიმურ ალიევის შემადგენლობით.

ამიერკავკასიის ს. ს. რესპუბლიკების სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილედ არჩეულ იქნა ამხ. **კარაევი**, ამიერკავკასიის ს. ს. რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის მოადგილედ—ამხ. **ატარბეგოვი**.

სხდომაზე დაისვა ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის ორგანიზაციის საკითხი. აღიარებულ იქნა ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის სასწრაფო ორგანიზაციის აუცილებლობა. ოლქის უფროსად დადგენილ იქნა დაინიშნოს ამხ. **კამო** და საკავშირო საბჭოს მიერ საგანგებოდ არჩეულ კომისიას მიენდო გამოიმუშავოს დებულება საბაჟო ოლქის შესახებ. საბაჟო ოლქის ორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება ყველა საბაჟო აპარატების, მოდარაჯე რაზმების და სხვა ასეთების ლიკვიდაციის შესახებ ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებზე. დადგენილია საზღვრები ჩაითვალოს ღიად ტვირთის გადასაზიდად მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საკავშირო საბჭოში ცნობების შემოსვლის გამო საადგილ-მამულო დავაზე, რომელსაც ადგილი აქვს გლეხებ შორის სომხეთ-აზერბეიჯანის საზღვარზე ყაზახის და ტაუზის მაზრების რაიონში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივად სპეციალურ კომისიის გაგზავნის შესახებ სომხეთის ც. ა. კ. და აზერბეიჯანის ც. ა. კ. საკავშირო საბჭოს წარმომადგენლებისაგან, აღმოცენებულ საადგილ-მამულო გაუგებრობის გამოსარკვევად და მოსაგვარებლად.

გარდა ამისა სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი საკითხები, დაკავშირებულნი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ორგანიზაციისა და მოქმედებასთან.

ამხ. ვასილ ბუკიას ხსოვნას

ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციას არ აკმარა ბედმა ამხ. პლატონ შელიას მოშორება და მარტის ბოლო რიცხვებში წაართვა მას მეორე ღვიძლი შვილი კომუნისტური პარტიისა ამხ. ვასილი ბუკია. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მასთან უმწიკვლო და ღმობიერმა პიროვნებამ მიიპყრო ყურადღება ზუგდიდის მაზრის მთელი მშრომელი ხალხისა. გლეხმა ვასილმა ძალიან ადვილად შეიგნო გლეხის გაჭირვება თვითმპყრობელობის დროს და სასტიკად ებრძოდა თვითმპყრობელობის მუქთა ხორებს. თავისი მდგომარეობით ამხანაგი ვასილი ძლიერ ახლო იდგა გლეხებთან და მარტივად უხსნიდა მათ თვითმპყრობელობის სიდუხჭირეს. ხალხმა შეიყვარა თავისი ჩუმი და პატიოსანი მასწავლებელი. 1917 წლის გადატრიალებისას მან ენერგიულად მოკიდა ხელი მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ მან სულ მოკლე ხანში გაიგო მენშევიკების ორპირობა და სამუდამოთ ჩამოსცილდა მათ. ამ დღიდან იწყება მისი მოღვაწეობა კომუნისტურ პარტიაში. ამხ. ვასილი ვერ შეარყია ვერც მისმა სიღარიბემ, ვერც ცოლ-შვილის უმწეო მდგომარეობამ, ვერც მენშევიკების სუსხმა რეაქციამ და დაუღალავად ეწეოდა პარტიულ მუშაობას იმ ხალხში, რომლიდგანაც თვითონ იყო და რომლისაგან მას დაუმსახურებია სათანადო სიყვარული და სიმპატია. ის სარგებლობდა თავისი პროფესიით (ის იყო ფერშალი) და დადიოდა მაზრის ყველა კუთხეში და უხსნიდა ხალხს მენშევიკების გამცემ პოლიტიკას და კომუნისტების პროგრამას. გლეხების მეტ ყურადღებას ის აქცევდა მიწის საკითხს და მენშევიკების აგრარულ რეფორმას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. მშრომელი ხალხი, ვასილის სიტყვების მსმენელი მენშევიკებს ზურგს აქცევდა და ჩვენი პარტიის თანამგრძნობი და წევრი ხდებოდა.

1921 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ ამხ. ვასილს ერგო წილად ემუშავნა ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ (ჯხთის) რაიონში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა ვაჭრობას ეწეოდა. ამხ. ვასილი ამ რაიონის რევკომის თავმჯდომარეთ იყო რამოდენიმე თვე, თავის ენერგიული მუშაობით და პატიოსნებით ეს რაიონი თითქმის გარდაქმნა და დიდი უმეტესობა მისი საბჭოთა მთავრობის მომხრე და მოტრფიალე გახადა, მან გააგრძელა თავისი მასწავლებლობა გადატრიალების შემდეგაც და სრული ნდობა მოიპოვა ამ ხალხში. ამხ. ვასილის ნიჭი და ენერგია სამაზრო პარტიულ კომიტეტს უფრო ფართედ დასჭირდა და ის იქნა ხობის რაიონის პარტიული კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნათ არჩეული. ბევრი რამ კარგი გააკეთა ამხ. ვასილმა მუშაობის ამ ახალ სფეროში: მან გააცოცხლა მთელ რაიონში პარტიული ორგანიზაციები, მოაშორა ყოველივე ნაკლი მათ, შთაბერა მისი პატიოსანი სული და შექმნა მტკიცე და კაჟივით მაგარი რაიონული ორგანიზაცია. ამხ. ვასილის ენერგია და გამოცდილება უფრო ფართოთ შეიქნა გა-

პატარა ფელეტონი

მაკარონა

I

კომუნისტური პარტიის თბილისის კონფერენციაზე ნესტორ ცერცვაძემ აღნიშნა გენუის დიდი მნიშვნელობა არამც თუ დღეს, არამედ ისტორიის წარსულშიდაც.

კოლუმბმა, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა, გენუელი ყოფილა.

დახეთ ადამიანების უმადურობას!

დღეს ამერიკელები არც კი სცნობენ გენუიას!

მაგრამ გენუია მარტო იმით არ არის შესანიშნავი, რომ ერთმა მისმა საუკეთესო შვილმა აღმოაჩინა ასეთი უმადური ხალხის ქვეყანა.

გენუის მეორე საუკეთესო შვილმა აღმოაჩინა ისეთი რამ, რისთვისაც კაცობრიობა მუდამ მისი მადლიერი იქნება.

II

რამდენიმე საუკუნის წინ გენუიაში სცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, სახელად ჩიკკო.

ჩიკკოს თავის სიმდიდრესთან ერთათ შესაფერი ჭამის მადაც ქონდა.

მთელ თავის ქონებას მხოლოთ ჭამაში ხარჯავდა. არაფერი სხვა რამე, გარდა ჭამისა მას არ აინტერესებდა.

ბოლოს, როდესაც მოხუცებულობაში შესდგა ფეხი და დაბრძენდა, ჩიკკო დაუკვირდა თავის წარსულ ცხოვრებას და განცვიფრებაში მოვიდა, რომ ჭამის მეტი ვერაფერი მოიგონა რაიმე საინტერესო შემთხვევა თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში.

ამ გარემოებამ ძლიერ დაალონა ჩიკკო. მას ცხადათ წარმოუდგა თვალწინ, რომ მის სიკვდილთან ერთად შეწყდება მისი ცხოვრების იდეალი—ჭამაც და მოისპობა მისი სახელი ქვეყნიერებაზე.

ჩიკკოს კი სწადდა რაიმე ხსოვნა თავის არსებობის შესახებ დაეტოვებია კაცობრიობისთვის, როგორც ყველა იტალიის მამულიშვილს.

იფიქრა, იფიქრა და მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ გამოეგონებია ისეთი რამ გემრიელი საჭმელი, რომლის მსგავსი ჯერ არც მას და არც არავის არ უჭამია ქვეყნიერებაზე.

ჩაიკეტა კარები თავის სასახლეში და მიჰყო ხელი სხვა და სხვა მასალებიდან უცხო ულუფის მზადებას. აზავებდა და სინჯავდა ათასნაირ ჭაშნიკებს, მაგრამ არც ერთი არ მოსწონდა,—ყველა მათგანი მოაგონებდა ოდესმე სადმე მისგან შეჭმულ ულუფას.

დიდი ხნის შრომის შემდეგ შეჩერდა ერთ საუცხოვოთ შეზავებულ ჭაშნიკზე, რომლის მსგავსი ჯერ არსად ენახა და ეგემა.

ჩიკკო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ამდენი ხნის შრომამ მუქთათ არ ჩაუარა და თანაც ისტორიაში მოხვდა.

მხიარულათ ღიღინებდა და მადიანათ ილუკმებოდა თავის ახალ გამოგონილ შეჭამადს, თანაც ახალ-ახალი გაუმჯობესება შეჰქონდა მის დამზადებაში.

როდესაც დაამთავრა თავისი გამოგონება და დასწერა რეცეპტი მის დამზადების შესახებ, ჩიკომ დამშვიდებით ამოისუნთქა და გამოვიდა გარეთ კარჩაკეტილობიდან.

III

ჩიკკოს ყავდა მზარეული,—მზარეულს კი ცნობის მოყვარე ცოლი, რომელსაც სახელათ ერქვა მაკარონი.

მაკარონას, ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ, რომანიული კავშირი ქონდა მეფის მზარეულთან.

ერთ დღეს მაკარონი მივიდა თავის სატრფოსთან და სთხოვა, რომ ამ დღეს მას დაეთმო მისთვის მეფისათვის საჭმელის დამზადება. მეფის მზარეულს მეტი რა გზა ქონდა, თუ რომ არ დაეთმო, რადგან უარის თქმა სულ ერთია არ გავიდოდა.

დატრიალდა მეფის სამზარეულოში მაკარონა და ისეთი საუცხოვო გემრიელი შეჭამადი დაამზადა, რომ ყოველნაირი საჭმელების მნახველი მეფის მზარეულიც კი განცვიფრებაში მოვიდა

მაკარონამ დაავალა თავის სატრფოს, რომ უკეთუ მეფე ინებებდა შეჭამადის მოწონებას ეთქვა, რომ მაკარონას დამზადებული არისო.

მართლაც მეფე-დედოფალი და კარის კაცები აღტაცებაში მოვიდნენ შეჭამადის უცხო გემოთი.

მზარეულმაც მოახსენა, თუ ვისი დამზადებული იყო უცხო შეჭამადი.

ჩქარა მთელ გენუიაში გავარდა ხმა მაკარონას საუცხოვო შეჭამადზე, რომელსაც სამართლიანათ თვით მაკარონას სახელი უწოდეს.

IV.

უსაქმობას მიჩვეული ჩიკკო შეჭამადის გამოგონების და მისი დამზადების რეცეპტის დაწერის შემდეგ ძალიან მოქანცულათ გრძნობდა თავს და ამიტომ რამდენიმე ხანს არ გამოდიოდა გარეთ.

როდესაც საკმაოდ დაისვენა და მოეხასიათა გასეირნება, გამოვიდა და ჩაიარა ბაზრისაკენ, სადაც საჭმელების სავაჭროები იყო გამართული.

ჩიკკოს თავისი გამოგონილი შეჭამადის სუნი ეცა და ღიმილით გულში გაიფიქრა:

აი, რას ნიშნავს კარგი საქმე,—ჩემი გამოგონილი საჭმელის სუნი აქაც კი მეცა, სადაც მისი გემოვნება ჯერ არავინმაც კი არ იცის! ალბათ ყნოსვის გალიუცინაცია მომდის!..

მაგრამ ჩიკოს ღიმილი გაკვირვებათ გადაიქცა, როდესაც შეჭამადის ნაცნობმა სუნმა მეტის-მეტათ ღიტინი დაუწყო ცხვირის ნესტოებში.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს გალიუცინაცია და მოჩვენება კი არა სინამდვილეა!—განცვიფრებით ჩაილაპარაკა ჩიკკომ და მივიდა ერთ ნაცნობ მზარეულ ქალთან, რომელიც კარგ ნაზუქებს ამზადებდა და რომელთანაც ხშირათ ნაყრდებოდა ჩიკკო სეირნობის დროს.

— გამარჯობა, ჩიფჩიფ! კარგი ხანია შენი ნახელავი ნაზუქი არ მიჭამია, მოიტა ერთი დავნაყრდე.

— ჩიკკოს თავი მიცოცხლოს ღმერთმა, მართლაც დიდი ხანია არ მობრძანებულხართ ჩვენკენ. ინებეთ, საუკეთესო ნაზუქი მაქვს თქვენთვის დამზადებული, მაგრამ მე კი გირჩევდით მაკარონა მიგერთვათ.

— რაო? რა მაკარონი, რის მაკარონა,—სასმელია, თუ საჭმელი?!

— როგორ, ბატონო ჩიკკო! ნუ თუ პირველათ გესმით მაკარონა?

— პირველათ არ მესმის—ეს ჩემი მზარეულის ცოლის სახელია, მაგრამ შეჭამადსაც თუ ეთქვა—ეს კი არ ვიცოდი.

— სწორეთ რომ მიუტევებელი ცოდვა არის თქვენთვის, ბატონო ჩიკო, ეს, როდესაც მთელმა გენუამ იცის უკვე ამ შეჭამადის საუცხოვო გემო და სახელი. აი, მიირთვით, ჩემზე უკეთესათ თვით მისი მომგონი მაკარონაც კი ვერ დაამზადებდა მას.

ჩიკკოს ფერი ეცვალა, გულმა საშინლათ ტოკვა დაუწყო, თითქო გარეთ გამოვარდნას აპირებსო, როდესაც თეფშზე დაინახა თავისი საიდუმლოთ გამოგონილი შეჭამადი.

ჩიკკოს მუხლები ჩაეკეცა და ჩაჯდა სავარძელში,—საჭმელისათვის კი ხელი არ უხლია.

ბოლოს ის თან და თან მოვიდა გონს.

მოაგონდა, რომ მისი მზარეულის ცოლი, მაკარონა, როდესაც ის კარჩაკეტილი აზავებდა თავის შეჭამადს, მუდამ უტრიალებდა გარს ოთახს და ცნობის მოყვარეობით იჭვრიტებოდა.

ჩიკოსთვის ეხლა ყოველივე ცხადი შეიქნა,—ისიც კი, რომ ისტორიაში მის მაგიერ მისი მზარეულის ცოლი მაკარონა მოხვდა!

გამოტრიალდა შინისკენ, ჩაწვა ლოგინში და რამდენიმე ხნის შემდეგ დარდისაგან გარდაიცვალა.

ამნაირათ დარჩებოდა ჩიკკოს სახელი მივიწყებული ისტორიაში, რომ ნესტორ ცერცვაძის მიერ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვას არ მოეგონებია ჩემთვის ეს ამბავი...

ს. თ—ია.

მოსაყენებელი და ის იქნა არჩეული სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრად და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატად. ამ მუშაობის შესრულების დროს ამხან. ვასილი გაცივდა და თბილისიდან დაბრუნებული თავის სახლში ჩაწვა ლოგინში, რამოდენიმე დღის შემდეგ ის სამუდამოდ მოშორდა თავის ამხანაგებს. ზუგდიდის ამხანაგები გლოვობენ ამხ. ვასოს დაკარგვას, მაგრამ მასთან ერთად ისინი ამაყობენ, ამხ. ვასილის რევოლიუციონერობით და პატიოსანი მუშაობით.

მშვიდობით ძვირფასო ამხ. ვასო. შენ წმინდათ განვლე ეკლიანი გზა რევოლიუციონერისა და მიაღწიე დასახულ მიზანს. შენი პატიოსნება და მუშაობა მაგალითია ჩვენთვის, შენი ხსოვნა და ღრმა პატივისცემა მუდამ დარჩება შენს ამხანაგებში.

ა. ქავთარაძე.

სახელმწიფო სტატისტიკა

სტატისტიკა სარკეა ცხოვრებისა: იგი სწავლობს სახელმწიფოს ცხოვრებას, მის განვითარების პირობებს. მთელი ეკონომიური ცხოვრება ერისა სტატისტიკის დაკვირვებათა საგანს შეადგენს. აქაც, საქართველოში, არსებობს ეს საჭირო სტატისტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ჰქვიან. ამ დაწესებულებაში გროვდება ცნობები: საქართველოს სასოფლო მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობა-მრეწველობის, ფინანსების, და მცხოვრებთა რაოდენობისა და მისი მოძრაობის შესახებ. ჩვენი სამშობლო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და ამ დარგის სტატისტიკას უფრო დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. სტატისტიკას უნდა ჰქონდეს საშუალება, რაც შეიძლება დაწვრილებით შეისწავლოს თვითეულ დარგის გავრცელება, პირობები, რომლებშიც მშრომელ გლეხს უხდება მუშაობის წარმოება, რაოდენობა და ხარისხი შრომით მოპოვებულ იმ დოვლათისა, რომელსაც მიწა იძლევა; სტატისტიკამ უნდა აღნუსხოს ყოველივე ეს და გამოხატოს ციფრებით; ეს ციფრები კი საჭიროა როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო და სამეცნიერო დაწესებულებათათვის. თითქმის არც ერთ დარგში არ შეიძლება გონივრული მუშაობა, თუ არ გვექნება სტატისტიკური ცნობები.

რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს სტატისტიკურ ორგანოს საქართველოს ყოველი კუთხის შესახებ, ამისთვის საჭიროა ყველგან იყოს სტატისტიკაში მომუშავე პირები, რომელნიც პერიოდულად მოაწვდიან ცენტრს ცნობებს თავისი კუთხის, სოფლის შესახებ. ამ მიზნისთვის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჰყავს მოხალისე კორესპონდენტები, ადგილობრივად მცხოვრები სოფლის მეურნენი, მასწავლებლები, კოოპერატორები და ყველა ის, ვინც კარგათ იცნობს ადგილობრივ ცხოვრებას.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოუწოდებს ყველა სოფლის შეგნებულ ძალებს მიიღონ მონაწილეობა სტატისტიკურ მუშაობაში, ჩაეწერონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოხალისე კორესპონდენტად, ამისთვის მათ აცნობონ თავისი ვინაობა და მისამართი, ან სამმართველოს, თბილისში ბროსეს ქუჩა № 4, ან ადგილობრივ სამაზრო სტატბიუროს. აქედან მათ მიუვათ შესაფერი ინსტრუქციები და შესავსები ანკეტები,

იმედია, ყველა შეგნებული მშრომელი გამოეხმაურება ამ მოწოდებას და გვერდს არ აუხვევს ასეთ სასარგებლო სახალხო საქმეს.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

შემოდგომის ხორბლეულობის ნათესების მიმოხილვა

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით)

როგორც ვიცით, შემოდგომის ხორბლეულობის კულტურა გავრცელებულია უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სოფლის მეურნეთა უმეტესი ნაწილი შემოდგომის პურისა და ქერის თესვას მისდევს და ხალხის უმთავრეს საკვებსაც ეს ხორბლეულობა შეადგენს. ბოლო ხანებში ფეხი მოიკიდა გაზაფხულის ხორბლეულობის თესვამაც, უმთავრესად სიმინდის, რომელსაც ბლომად სთესენ გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში, მაგრამ შემოდგომის ხორბლეულობას ჯერ ეს კულტურა მეტოქეობას ვერ უწევს. დასავლეთ საქართველოში, წინააღმდეგ, შემოდგომის ხორბლეულობა თითქმის არ ითესება; მხოლოდ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრაში არის ხოლმე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სივრცე შემოდგომის ხორბლეულობის ქვეშ.

წარსულ შემოდგომაზე თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ხალხი, რომელიც შიმშილის აჩრდილით იყო შეშინებული, მხნედ შეუდგა ხორბლეულის თესვას 1922 წლისთვის, ეს იყო მიზეზი, რომ თბილისის და გორის მაზრის გარდა ხორბლეულობა ყველგან თავის დროზე დაითესა, მიუხედავად სხვა და სხვა ხელის შემშლელი პირობებისა, გორის და თბილისის მაზრებში თესვა დაგვიანდა, თესვის პერიოდში მოსულ ხშირი წვიმების გამო. დასავლეთ საქართველოში თესვას დაგვიანებით შეუდგნენ, აქაც მიზეზი ხშირი წვიმები იყო.

თითქმის ყველა მაზრებში მცხოვრებლებს ძალიან აკლდა სათესლე მასალა, ეს იყო მიზეზი, რომ ყველგან ნაწილი, მოხნული და დასათესად გამზადებული მიწების, დარჩა დაუთესავი; მცხოვრებლებს, რომ თესლი ჰქონოდათ, ნათესების სივრცე ყველგან გადიდდებოდა, მაგრამ სივრცის გადიდება, ისიც უმნიშვნელო, მოხდა მხოლოდ თელავის, თიონეთის დუშეთის, სიღნაღის და სენაკის მაზრებში; ახალქალაქის და შორაპნის მაზრაში სივრცე უცვლელად დარჩა, დანარჩენ მაზრებში შემცირდა.

მხვნელ-მთესველთა უმრავლესობამ, დაახლოვებით 60 პროც. მინდვრები დასთესა საკუთარი თესლით, 30 პროც.—ნაყიდით, დანარჩენმა 10 პროც. თესლი შეიძინა მთავრობისაგან. თესლი კახეთში იყო კარგი ხარისხის და სუფთა, დანარჩენ მაზრებში საშუალო ხარისხის, ხშირად ხარჯიანი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლისათვის, ვინაიდან ხარჯიანი თესლის დროს ყანებში ბევრი სარეველი ამოდის და მოსავალს აქვეითებს. ჯეჯილი საშუალოდ ამოვიდა მე-15 დღეს, თოვლით დაფარვის წინ კახეთში და გორის მაზრაში მოსავალს მშვენიერი პირი უჩანდა, თბილისის და შორაპნის მაზრებში ცუდი, დანარჩენ მაზრებში საშუალო. ამა წლის 10 მარტისთვის თბილისის მაზრაში ჯეჯილის მდგომარეობა გამოკეთდა და საშუალო პირი უჩანს, კახეთსა და გორის მაზრაში, როგორც პურის ისევე ქერის ნათესებს, ჩინებული პირი უჩანთ, ჰვავსაც არაუშავს რა. დანარჩენ მაზრებში ნათესები საშუალო მდგომარეობაში არის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წრეულს ნათესების ზრდა-განვითარება ძალიან კარგად მიმდინარეობს და თუ ასე გაგრძელდა, ძალიან კარგი მოსავალი მოუვათ აქამდის დაღონებულთ და უმოსავლობით დაფიქრებულ გლეხებს, მეტადრე კახეთში და ქართლში, განსაკუთრებით გორის მაზრაში.

შვეიცარულ ყველის დამზადება

სახალხო სასურსათო კომისარიატმა ხელშეკრულობა დასდო სალამალეიქის მესაქონლეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „რძე“სთან, რომელმაც სასურსათო კომისარიატისთვის შვეიცარული ყველი უნდა დაამზადოს.

ეს ამხანაგობა დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა. სალამალეიქის მიდამოები ეკუთვნის ბორჩალოს მაზრას, სახელდობრ ბაშკიჩეთის რაიონს და განთქმულია მესაქონლეობით. ამხანაგობას ამ ჟამად ჰყავს 370 მეწველი ძროხა და აქვს სამი ყველის ქარხანა, რომელთაგანაც ორი საბოლოოდ მოწყობილია. ამხანაგობას საშუალება აქვს, დაამზადოს მიმდინარე სეზონში 2,000 ფუთი ქართული და 3,000 ფუთი შვეიცარული ყველი.

ხელშეკრულების ძალით, რომელიც მხარეთა შორის დადებულ იქნა ამა წლის აპრილის 26-ს, ამხანაგობამ სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის უნდა დაამზადოს 800—1000 ფუთი შვეიცარული ყველი პირველ ხარისხისა და ჩააბაროს არ უგვიანეს ამა წლის აგვისტოს 15 სა, ფასად ფუთი 9 მან. ოქროთი.

აღნიშნულ ყველის საფასურში სასურსათო კომისარიატმა ამხანაგობას მისცა 500 ფუთი ხორბალი, 500 ფუთი ქვამარილი და 500 ფუთი კენჭი მარილი. თანახმად ხელშეკრულობისა ამხანაგობას ფუთს ყველში ეძლევა ექვსი ფუთი ხორბალი, მარილის ფასი კი ისეთი უნდა იყოს, როგორიც საერთოდ დაწესებულია. დანარჩენ საფასურად კომისარიატმა ამხანაგობას უნდა მისცეს ის საქონელი, რომელიც მის საწყობებში აღმოჩნდება ანგარიშის საბოლოოდ გასწორების დროს, მაგალითად: ხორბალი, ქვამარილი, ბრინჯი, შაქარი, ჩითეული, ნაბდები და სხვა.

საქართველოს ნავთსადგურებში

ბათუმის ნავთსადგურში. ნავთსადგურში მოვიდა 3 მაისს რუსეთის გემი „ილიჩი“ ოდესიდან და ინგლისის „შეფელდი“ სტამბოლიდან 1030 ტონი სხვადასხვა საქონლით და 914 მგზავრით, მოვიდა აგრეთვე ერთი იალქნიანი ხომალდი, 4 მაისს მოვიდა 5 ხომალდი 415 ფ. სხვადასხვა ტვირთით და 5 მაისს გემები: ინგლისის „ლედი ელეონორა“ და საფრანგეთის „მარშალი ფოში“, სტამბოლიდან 550 ტონი სხვადასხვა ტვირთით და 6 მგზავრით და აგრეთვე 3 ხომალდი 82 ფ. სიმინდით.

ნავთსადგურიდან გავიდენ: 3 მაისს —იტალიის გემი „ჩემო“ და სამხრეთ სლავის „დიმიტრიე“, ორივე სტამბოლისაკენ 35 ტონი ტვირთით და 50 მგზავრით და 3 ხომალდი 1750 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. 4 მაისს—ამერიკის გემი „სოკიუსი“ სტამბოლისაკენ 530 ტონ ტვირთით და 4 ხომალდი 3150 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით; 5 მაისს—გემები—ინგლისის „სვიჩი“ და იტალიის „პერსია“ ორივე სტამბოლისაკენ 30 ტონი ტვირთით და 20 მგზავრით.

5 მაისს 12 საათისათვის ნავთსადგურში იდგა 6 გემი და 47 ხომალდი.

სოხუმის ნავთსადგურში. 3 მაისისათვის ნავთსადგურში იდგა: მატორიან-იალქნიანი ხომალდები ოსმალეთის—4, საბჭოთა ფედერაციის—8, სპარსეთის—1.

ფოთის ნავთსადგურში. ნავთსადგურში მოვიდა: 5 მაისს ოსმალეთის ხომალდი „პორტოხანი“ ანაპიდან 25 ფ. თევზით. 6 მაისს ქართული ხომალდი „ცხენის წყალი“ სოხუმიდან 100 ფ სხვადასხვა ტვირთით და 28 მგზავრით. 7 მაისს რუსეთის გემი „წმ. ნიკოლოზი“ ბათომიდან 30 ფ. ტვირთით, 8 მაისს ნორვეგიის გემი „მოდიკი“ სტამბოლიდან ცარიელი.

გავიდა ნავთსადგურიდან: 5 მაისს ოსმალეთის ხომალდი „პორტოხანი“ უკან ანატოლიაში გავლით უტვირთოთ, 11 მგზავრით და 9 მაისს რუსეთის გემი „წმ. ნიკოლოზი“ ოჩემჩირეში 20 ფ. ტვირთით.

ქ. თბილისის აღმასკომის პლენუმში

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ანგარიში.

(ამხ. ვაწაძის მოხსენება)

ჯერ 1922 წლამდი განყოფილებას წინადადება მისცეს შეემცირებია თავის შტატები და გადაეთვალიერებია თავის დაწესებულებანი. მოხდა რამოდენჯერმე შტატების შემცირება. მაგალითად. დახურულ იქნა 44 კვილის საექიმო ამბულატორია, 2 სამშობიარო სახლი, ქალაქის 1 საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილება, მოხდა სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ლიკვიდაცია, ნაწილი ავადმყოფებისა გადაყვანილ იქნა სურამის ახალშენში და ნაწილი კი ფსიხიატიულ საავადმყოფოში, ამას გარდა მოხდა ლიკვიდაცია მთელ რიგ დაწესებულებათა. განყოფილება განთავისუფლდა რა გაუქმებულ დაწესებულებათაგან, მას არ შეეძლო დასწოლოდა თავზე აღმასკომს, მით უმეტეს, რომ თანამშრომლები ღებულობდენ მუშის ულუფას და ავადმყოფები კი პურს სასურსათო კომისარიატიდან. ამ რიგად თავის დროზე მიეცათ ჯამაგირები 717 მოსამსახურეს და საკმაოდ კარგად ინახებოდა 805 ავადმყოფი. მაგალითად მარტში ჯამაგირებისათვის დაიხარჯა 604 მილიონი და ავადმყოფების შესანახად კი 160 მილიონი. პირველ მაისიდან განყოფილება გადავიდა ადგილობრივ საშუალებაზე და ამრიგად აღმასკომმა 2,200 მილიონის მაგივრად თვეში უნდა მისცეს გაზაფხულის თვეებში 5,000 მილიონ მან. მეტი.

როგორც გამოსავალი გზა, შექმნილ ფულის კრიზისიდან, განყოფილებამ წარმოადგინა შემდეგი პროექტი, რომ შემოღებულ იქნას ერთდროული სამკურნალო გადასახადი, რომელიც დაკავშირებული იქნება და სამისამართო მაგიდაში სავალდებულო ჩაწერასთან. პროექტი დაამტკიცა აღმასკომის პლენუმმა და ამ რიგად ყოველ მცხოვრებისაგან გარდა პროფკავშირთა წევრებისა, წითელ არმიელებისა, სოციალურ უზრუნველყოფის მზრუნველობაზე მყოფთ და მოსწავლეთა ჩაწერის დროს გადაახდევინებენ 50.000 მანეთს. დაახლოებით იგი მოგვცემს წელიწადში 11—12 მილიარდ მანეთს.

რაც შეეხება საექიმო დახმარებას, მუშები და მოსამსახურეები მას მიიღებენ დამზღვევი კასის ხარჯით, და დანარჩენ მოქალაქეებს კი გადაახდევინებთ ფასს. გადამდებ და ვენერიულ, სნეულებით ავადმყოფებს ფასი არ გადახდებათ. განზრახულია საავადმყოფოში დღეღამეში გადაახდევინონ 50,000 მან., ამბულატორიებში შესავალ ბილეთის, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ [illegible] რიგებით მთელი წლის [illegible]ში—20,000 მ. და წამლისათვის თვითეულ ცალკე ნომერზე საშუალოდ 20,000 მ.

რაც შეეხება სამკურნალო-სანიტარულ საქმეს თბილისში, უნდა აღინიშნოს, რომ 1922 წ. არის ძლიერ არა კეთილ საიმედო და საშიში.

ქალაქი ინახამს 3 საავადმყოფოს: პირველ—645 საწოლით, მეორე—84 საწოლით, სადაც 21 წელში გაიხსნა ხირურგიული განყოფილება 40 საწოლით და ვენერიული საავადმყოფო 75 საწოლით.

მიმდინარე წლის სამი თვის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინეს 15.436 ავადმყოფს.

დიდუბეში, ვერაზე და საბურთალოზე გახსნილია ახალი ამბულატორიები. მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოხსენება და ითვალისწინებს რა იმ მძიმე ობიექტიურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა განყოფილებას, პლენუმი ჯანმთელობის განყოფილების მუშაობას ცნობს სრულიად დამაკმაყოფილებლად და ავალებს აღმასკომს ყოველივე ზომები იხმაროს ყველა იმ ობიექტიურ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ხელს უშლიან დააყენონ სათანადო სიმაღლეზე გამაფრთხილებელი მედიცინა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის.

1 მაისის დღესასწაული პროვინციაში

ბორჯომი.

1-ლი მაისის დღესასწაული ბორჯომში ჩატარებულ იქმნა საუცხოვოთ.

რაიკომის მიერ წინდაწინ იყო გამოყოფილი კომისია, რომელსაც დაევალა დღესასწაულის მოწყობა

კომისიის მიერ იქნა შემუშავებული პროგრამა დღესასწაულის ჩატარებისა.

მიტინგი იყო მოწვეული ორ ადგილას—ქ. ბორჯომში „ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში“.

დილის ათ საათზე უნდა გახსნილიყო პირველი მიტინგი. მეორე მიტინგი მუშათა რაიონში „ჩარხის წყალზე“.

1-ლ მაისს საათის 8-დან ხალხმა იწყო თავის მოყრა დანიშნულ ადგილას. 9 საათზე საგიტაციო მატარებლით მოვიდნენ სად. ბორჯომიდან—ბორჯომ-ბაღში რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი და ქარხნის მუშები.

საათის 10-ზე მწყობრათ მოვიდნენ ადგილობრივი სასწავლებლების მოწაფეები და მასწავლებლები.

საათის 11-ზე მიტინგს აცხადებს გახსნილათ კომპარტიის ბორჯომის რაიონის ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. სიამაიშვილი, ამხ. ულოცავს და ესალმება დამსწრეთ რაიკომის და აღმასკომის სახელით.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს პროფბიუროდან ამხ. კრავცოვმა, ახალგაზრდათა კომკავშირიდან—ამხ. კავინოვმა, წითელი ჯარის წარმომადგენელმა ამხ. ერმაკოვმა, რკინის გზის მუშებიდან ამხ. მეტრეველმა.

პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. სიამაიშვილმა, კრავცოვმა და კავინოვმა. სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა დროის შესაფერი რეზოლიუცია.

მიტინგის დახურვის შემდეგ, პროცესია გაემგზავრა ენგელსის ძეგლის გასახსნელათ. ძეგლთან მიტინგი გახსნა ამხ. სიამაიშვილმა, რომელმაც მოკლეთ დაახასიათა ფ. ენგელსის

პროლეტარული კულტურა

კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის სახელობის ინსტიტუტი

(მისი წიგნებისა და ისტორიული საბუთების სიმდიდრე)

1920 წლის შუა რიცხვებში სოციალისტურ აკადემიასთან მოსკოვში დაარსებულ იქნა კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინსტიტუტი. ეს მეცნიერული დაწესებულება დაარსდა მუშათა კლასის უდიდეს ბელადთა ცხოვრების, მოღვაწეობის, ნაწარმოებების და მათი ეპოქის შესწავლის მიზნით.

ამ ჟამად ინსტიტუტში შეგროვილი არის წიგნებისა და ხელთნაწერების აუარებელი სიმდიდრე, რომელიც უდიდეს ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს. აქ მოინახება იშვიათი, ფასდაუდებელი გამოცემები და აგრეთვე რამდენიმე ისეთი ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი რევოლიუციონურ წარსულიდან, რომლის მეორე ცალი მთელ დედამიწის ზურგზედ აღარ მოიპოვება.

არის ისეთი გამოცემებიც, რომელთა პირი მოიპოვება მხოლოთ ბრიტანიის მუზეუმში.

ეს იშვიათი სიმდიდრე შეგროვილია უმთავრესად რუსეთის თავადობის და მსხვილ მემამულეთა უმდიდრეს ბიბლიოთეკებიდან, მხოლოდ ზოგიერთი წიგნები კი, როგორც მაგალითად მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოების, რამოდენიმე ძვირფასი გამოცემა და აგრეთვე კარლ მარქსის, ლოპატინის, ბაკუნინის, ვერა ზასულიჩის და სხ. ხელნაწერები ჩამოტანილია ამხ. რიაზანოვის მიერ საზღვარგარეთიდან.

ამხ. რიაზანოვმა თავის მოგზაურობის დროს 1920 წ,—ლონდონში, 1921 წ. გერმანიაში და ავსტრიაში შეიძინა ინსტიტუტისათვის ისეთი განძი სოციალიზმის და სოციალისტურ მოძრაობის ისტორიიდან, როგორიც არის ყოფილ გრიუნბერგის, მაუტნერის და პაპენგეიმის კოლექციები.

ინსტიტუტის მშვენიერი „ოსობნიაკი“ თავის ფართო, სინათლიან ოთახებით, წიგნებით გაჭედილ შკაფებითა და თაროებით, სხვა და სხვა ქვეყნებისა და მეცნიერებების ცალკ-ცალკე კაბინეთებით მოთავსებული განცალკევებით. ქალაქის ხმაურობა არ არღვევს მის მყუდროებას. აქ ყოველივე ხელს უწყობს რევოლიუციონურ მოძრაობის ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა და სოციალიზმის და მარქსიზმის თეორეტიკოსთა მყუდრო, დამშვიდებულ მუშაობას.

აქვე მოთავსებულია საზოგადო სამკითხველო 35 კაცისათვის ცნობების მისაღებ კაბინეთით და ცალკ-ცალკე მეცნიერული კაბინეთებით: ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის კაბინეთები, ფილოსოფიის სოციოლოგიის, სარწმუნოებათა ისტორიის, პოლიტიკურ ეკონომიის და სოციალიზმის ისტორიის კაბინეტები, კარლ მარქსის კაბინეტი და აგრეთვე სპეციალური კაბინეტი იმ საერთაშორისო საკითხების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებდა კარლ მარქსს.

ინგლისის კაბინეტი.

აქ შეგროვილია ძვირფასი, იშვიათი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან ინგლისის რევოლიუციის ისტორიის და ოლივერ კრომველის ეპოქიდან.

მეფე კარლოს 1-ლის გასამართლების საბუთები, მისი ჩვენება სასამართლოს წინაშე ძალაუნებურად იწვევენ ფანტაზიაში ისტორიულ პიესას.

აქ არის ერთი მეტად იშვიათი წიგნი—„ეიკონ. ვაზილიკ“; ეს წიგნი წარმოადგენს მეფე კარლოსის დღიურს რომელსაც იგი აწარმოებდა თავის ტყვეობის (ტუსაღობის) დროის განმავლობაში. გამოცემული ვითომცდა ეფისკოპოს დჟუკსონის მიერ, რომელსაც კარლოსმა გადასცა ეს დღიური სასჯელის წინა ხანებში. მოინახება საგანგებო მასალები ჩარტისტულ მოძრაობის ეპოქიდან. კაბინეთში არის ჩარტისტულ ორგანოს „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ კომპლექტები 1859 დ 1852 წლების. ამ კომპლექტების თითო ეკზემპლიარი გარდა ინსტიტუტისა არის მხოლოდ ბრიტანეთის მუზეუმში.

საფრანგეთის კაბინეტი.

უმთავრესი კოლექციები ეხება პარიზის კომუნას, 1848 წ. რევოლიუციის და საფრანგეთის უდიდეს რევოლიუციის ისტორიას.

აქ არის პარიზის კომუნის გაზეთების—„კომუნა“ და „ოფციალური გაზეთი“-ს ორიგინალები.

ბლანკის, პერ-დიუშენის და სხ გაზეთები. 1848 წ. დროის 300-ამდე სხვა და სხვა სახელწოდების გაზეთი. საფრანგეთის უდიდეს რევოლიუციის ეპოქიდან კონვენტის დეკრეტების დედნები; იმ დროის ჟურნალები, კარიკატურები, გრავიურები. უმდიდრესი კოლექციები ცალკ-ცალკე ქვეყნების შესახებ იმ დროული სამხედრო საქმე, ეკონომიური ცხოვრება, კულტურა, ხელოვნება და სხ. საფრანგეთის ქალაქების რევოლიუციონურ მოძრაობის დოკუმენტები. ეპოქის შესანიშნავ მოღვაწეთა კოლექციები მირაბოსი, რობესპიერის, ანახარსის-კლოოტსის—„კაცობრიობის ორატორის“. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია კოლექცია მარატის შესახებ, რომელიც ერთად ერთი ცალია მთელ ქვეყნიერებაზე, ეს კოლექცია შეძენილი არის ლონდონში, სანამ ამას მოასწრებდა ბრიტანეთის მუზეუმი, რომელსაც ამ კოლექციიდან ბევრი საბუთები აკლია. ამ კოლექციაში არის მარატის ფურცლის „ხალხის მეგობარი“-ს დედნები. აქ არის აგრეთვე ერთად ერთი ეკზემპლიარი მთელს მსოფლიოში მარატის აფიშა პროკლამაციის, რომლის წაკითხვა აუღელვებლათ ეხლაც შეუძლებელია.

ძვირფას რევოლიუციონურ წარსულის ხატება ცოცხლდება, ხორცს ისხამს და თითქმის ფიზიკურათ ხელშესახები ხდება.

სხვათა შორის აქვე არის მარატის ნაკლებათ ცნობილი თხზულებანი ფიზიკიდან, რომლებიც ელიან თავიანთ მკვლევართ.

გერმანიის კაბინეტი.

ამ კაბინეტის უმთავრეს სიმდიდრეს შეადგენს სოციალიზმის ისტორიიდან უძვირფასესი კოლექციები, რომლებიც შეძენილია ვენაში. აქვე არის 1848 წ. რევოლიუციის ისტორიიდან საბუთები, საბუთები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან, გერმანიის სოც.-დემ. პარტიის მიერ ოდესმე გამოცემული ჟურნალები. მეცხრამეტე საუკუნის 30—40 წ. მუშათა მოძრაობის საბუთები; ეს საბუთები ნათელი ჰყოფენ იმ ატმოსფერას და საერთო პირობების სურათს, რომლებშიაც იზდრებოდა მარქსი. განსაკუთრებით გამოყოფილია მარქსის სამშობლოს, რეინის პროვინციის დოკუმენტები.

ფილოსოფიის კაბინეტი.

ფილოსოფიის კაბინეტის კოლექტიები აშუქებენ ფილოსოფიის მთელ ისტორიას მატერიალისტურ თვალსაზრისით, რომელიც სრულიად ამსხვრევს არსებულ იდეალისტურ ფილოსოფიის ისტორიას. აქ შეგროვილი არის მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტების ყველა ორიგინალური გამოცემები. მათ შორის გობსის, ლიამეტრის, გელვეტიის, მორელის, გოლბახის და სხ. პირველი გამოცემები, რომლებიც მთელ დედამიწის ზურგზედ მხოლოდ თითო ცალად მოიპოვებიან. კანტის, შელინგის, გეგელის, ფეიერბახის პირველი გამოცემები. განსაკუთრებით საყურადღებოა ფიხტეს კოლექცია, რომელიც შედგენილია ლეიპციგის პროფესორ ბერგმანის მიერ. წმინდა, მკაფიო ხელით ნაწერი ფიხტეს წერილები და ხელთნაწერები, რომლებსაც თითქოს ფილოფოსის მაღალი სულის ბეჭედი აზის.

ფიხტეს მთლიანათ შესასწავლათ მეორე ასეთი ადგილი არ მოიპოვება მთელს ქვეყნიერებაზე.

საინტერესოა აგრეთვე ბეკონის თხზულებათა პირველი გამოცემა, რომელიც ეკუთვნოდა არტურ შოპენგაუერს; წიგნს აქვს წარწერა მელნით, ფილოსოფოსის ხელით, რომელსაც ის უძღვნის ვიღაც გრაფს.

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამდიდრდა გეგელის კოლექციაც და იმედია მოკლე ხანში იგი გახდება ისეთივე შედევრად, როგორიც არის ფიხტეს კოლექცია, ბოლოს უიშვიათესი პირველი გამოცემა საფრანგეთის ენციკლოპედიის მეთვრამეტე საუკ. ენციკლოპედისტების დიდროს, დალამბერის და სხ. 1751 წ. ძვირფასი გამოცემა და სხ.

სოციოლოგიის და სარწმუნოებათა ისტორიის კაბინეტი.

აქ შეგროვილია ყველა დროის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებნი და ბოლო დროის უმდიდრესი კოლექცია შემდეგ საკითხების შესახებ: მატერიალიზმის ისტორიის, ოჯახის, საკუთრების, სახელმწიფოს წარმოების და სხ. და სხ.

პოლიტიკურ ეკონომიის კაბინეტი

აქ ყველაფერი არის, დაწყებული ფიზიოკრატებიდან და გათავებული ჩვენი დროით. ყველა კლასიკები, პეტტი, პირველ ეკონომისტების იშვიათი, ძვირფასი 1691—1784 წ. გამოცემები, რომლებზედაც კარლ მარქსმა შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია. ადამ სმიტის „უტოპიის“ პირველი 1612 წ. გამოცემა და 1629 წ. გამოცემები აქვე არის „უტოპიის“ პირველი რუსული გამოცემა 1792 წ. შემდეგის სახელწოდებით: „საუკეთესო მმართველობის შესახებ ანუ უტოპია, ინგლისის კანცლერის ტომას ბორისის თხზულება, დაბეჭდილია საბლაღოჩინო სამმართველოს ნებართვით“ (управы благочиния).

ბოლოს ინგლისის რევოლიუციის ეპოქიდან პამფლეტების იშვიათი გამოცემა; კომუნიზმის წინამორბედ ლეველლერების (გამთანასწორებელნი) და მათი მოწინააღმდეგეთა თხზულებანი, მეჩვიდმეტე საუკუნის გამოცემა.

სოციალიზმის ისტორიის კაბინეტი

აქ შეგროვილი არის საგანგებო კოლექცია სოციალიზმის ისტორიიდან, აქ არის ანარქიზმის შესახებ განსაკუთრებით მთლიანი და მდიდარი ლიტერატურა, წარსულ საუკუნის დოკუმენტებულ ბაკუნინის წერილები და სხვ.

საერთაშორისო საკითხების კაბინეტი

მარქს აინტერესებდა აღმოსავლეთის, პოლონეთის, რუსეთის და ინგლის რუსეთის ურთიერთობის საკითხები. ამ კაბინეტში შეგროვილია ყოველივე, რაც დაწერილი არის ამ საკითხების შესახებ თვითონ მარქსის მიერ, ყველა წიგნები, რომელსაც ის მოიხსენიებს, ან რომლებთაც ისე ხელმძღვანელობდა ამ საკითხების შესწავლის დროს და ბოლოს ყველა ის წიგნები, რომლებიც საზოგადოთ აშუქებენ იმ საკითხებს, რომლებითაც მარქსი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული.

მარქსის კაბინეტი

ბოლოს კარლ მარქსის კაბინეთი ეს ნამდვილი წმინდათა წმინდაა, აქ თავმოყრილია მარქსის თხზულებანი, მისი ხელთნაწერები, წერილები იმისი საკუთარი წერილები, ფოტოგრაფიით გადაღებული წერილები, რომლების დედნები სხვაგან იმყოფება რევოლიუციის ბელადების ენგელსის, ვილგელმ ლიბკნეხტის, ვეიტლინგის, წერილები მარქსის მიმართ, ვერა ზასულიჩის წერილი, რომელშიაც ის სთხოვს მარქს გამოსთქვას თავისი მოსაზრებანი რუსეთის „ობშინაზე“. წერილი მიწერილი მარქსისათვის რუსეთის სოციალ რევოლიუციონურ პარტიის „ნაროდნაია ვოლია“-ს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1880 წლის 25 ოქტომბრის თარილით და პარტიის ბეჭდით რომელიც გადაჯვარედინებულ დამბაჩა, ხანჯალს და ნაჯახს წარმოადგენს.

ფოტოგრაფიით გადაღებული „მარქსის ხელთნაწერი-“ „ფეირბახის თეზისები“. 1-ლი ინტერნაციონალის ოქმების ორიგინალები და ფოტოგრაფიები. 1850—1860 წწ. იშვიათი ამერიკული ენციკლოპედია; სადაც მოთავსებულია ენგელსის წერილები სამხედრო საკითხის შესახებ (ენგელსი სამხედრო საქმის დიდი მცოდნე იყო). 1842 წ. რეინის გაზეთის ორიგინალური ეკზემპლიარები, რომელსაც კ. მარქსი რედაქტორობდა. მარქსის დასაფლავების დღის გერმანული ჟურნალი ენგელსის წერილით—„მარქსის გარდაცვალებისთვის“.

მარქსის ბევრი ხელთნაწერები ჯერ არ არის გამოცემული, ბევრი მათგანი გადასინჯულიც არ არის. ამ მასალებზე მუშაობს ეხლა ამხ. რიაზანოვი.

ეს კაბინეტი სოციალისტურ ბანკის სულიერ განძების ფოლადით აშენებული საწყობია თითქოს.

მარქსის ხელი სწრაფია, მტკიცე და იმდენათ წმინდა, რომ მის ხელით ნაწერის წასაკითხად საჭიროა გასადიდებელ შუშის დახმარება. თითქომრავალ ათეულ წლებთა სიშორე, რომელიც სდგას ჩვენსა და დიდებულ ბელადის შორის იდუმალებით ყარაულობს ამ მელნის ნიშნებს და არ გვაძლევს უფლებას უცებ მიუახლოვდეთ მის სიდიადეს;

აი მარქსის უბის წიგნის ფურცლებიც, იმის ასულის ხელით გადაწერილი პასუხები ვიღაცის მიერ გამოგზავნილ ანკეტაზე იმის შესახებ თუ როგორია მარქსის გემოვნება.

ჰხედავ, კითხულობ მათ და მარქსის ცოცხალი ხატება მისი არსება უეცრივ გადგება თვალწინ, თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობ მის გვერდით ყოფნას.

მარქსი სწავლობდა რუსულს. რვეულის ფურცელზე მწყობრად არის ჩამოწერილი რუსული იზმნა. გამოუცდელ ხელით, მსხვილი რუსული ნახევრად ნაბეჭდ სახეობის ასოებით, იქვე გვერდით ნაცნობი წმინდა გერმანული ხელი, რომლითაც ჩაწერილია ამ სიტყვების მნიშვნელობა. აქვე არის ლათინური ბრუნვა, უბის წიგნაკის ფურცლები, სადაც გერმანულ ენაზე ჩაწერილია შენიშვნები რუსეთის ეკონომიურ პირობების შესახებ.

აქ მოგვყავს რამოდენიმე პასუხი მარქსისა ანკეტის კითხვებზე:

— რა ჩაითვლება ადამიანის უმაღლეს კეთილშობილებათ?

— უბრალოება.

— რაშია უბედურება?—დამორჩილებაში.

— ბედნიერება?—ბრძოლაში.

— საყვარელი ფერი?—წითელი.

— საყვარელი გმირები?—სპარტაკი, კეპლერი.

— საყვარელი სახელები?—გოაურადა დჟენი, (მარქსის ქალიშვილი და მეუღლე).

— საყვარელი პოეტები?—შექსპირი, ესხილი, გიოტე.

— პროზაიკები?—დიდრო და სხ.

ხელთნაწერების დათვალიერების შესახებ მე დამჭირდა ინსტიტუტის მთავარ ხელმძღვანელის ამხ. რიაზანოვის ნახვა რომელიც მუშაობს „ცენტრალურ არქივში“. ეს არქივი მოთავსებულია ვაგანკოვის შესახვევში.

ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ დავბრუნდი ისეთი შთაბეჭდილებით, თითქოს კარლ მარქსი ჩვენია, რუსეთის, თითქოს ის გერმანიაში კი არ დაბადებულა, არამედ აქ, რუსეთში, და დასაფლავებულია თითქოს აქვე მოსკოვში, ვაგანკოვის სასაფლაოზე.

ნ. ხეშეიკო.

„ტრუდ“

კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობისათვის

ს. ა. კ. პ. ყველა ორგანიზაციებს და წევრებს

ს. ა. ქ. პ. ცეკას ყველა დაწესებულებების თანახმად მე-2-ე ყრილობა გაიხსნება 5 ივნისს 1922 წ.

დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის.
2) ს. ა. კ. პ. ცეკას ანგარიში.
3) ს. ა. კ. პ. ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობა ახალ პირობებში.
5) მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
6) სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება.
7) ცეკას არჩევნები.
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9) დელეგატების არჩევა რ. ა. კ. პ. კავკასიის ყრილობისათვის.

შენიშვნა: ყრილობაზე იქნება არჩეული სექციები: 1) საორგანიზაციო, 2) სააგიტაციო საპროპაგანდო და 3) ეკონომიურ-უფლებრივი.

დელეგატები აირჩევიან რაიონულ კონფერენციებზე. წარმომადგენლობითი ნორმა: 100 ნამდვილი წევრი ა. კ. კ. აგზავნის ერთს (1) დელეგატს.

შენიშვნა: 1 თუ რაიონში ითვლება ასი წევრზე ნაკლები—75-დე მას აქვს უფლება გამოგზავნოს ერთი (1) დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2. თუ რაიონში ითვლება—75 წე წევრზე ნაკლები - მაშინ ერთდებიან რამდენიმე რაიონები და ერთად აგზავნიან დელეგატებს.

დელეგატები სათათბირო ხმით კონფერენციაში არ იქნებიან დაშვებულნი. იმ მაზრებში, სადაც უკვე იყო სამაზრო კონფერენცია და არჩეულია დელეგატები, მათზე ეს წესი არ ვრცელდება. გამონაკლისს შეადგენს გორის მაზრა, სადაც კონფერენცია მოწვეულია 10 მაისს, და აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, რომელსაც წინადადება ეძლევა აირჩიოს დელეგატები ნორმის მიხედვით.

სამაზრო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ, არ გამოგზავნონ დელეგატები სათათბირო ხმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეკა არ მიიღებს ასეთებს მხედველობაში, და იქნებიან უკანვე გაგზავნილნი ცეკას დაუხმარებლად.

კომუნისტური სალამით.

ა. კ. პ. ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**

ს. ც. კ. საორგანიზაციო საინფორმაციო განყ. გამგე **ოკუჯავა.**

პიროვნება, მოღვაწეობა და მნიშვნელობა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეში.

დასასრულ სიტყვისა თავმჯდომარე აცხადებს ძეგლს გახსნილათ, რასაც დამსწრე ამხანაგი მუშები და გლეხები ხვდებიან ხანგრძლივი ტაშის ცემით. აქვე სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. კრავცოვმა და არევაძემ.

შემდეგ ერთმა მოწაფემ წაიკითხა ლექსი „პირველი მაისი".

მიტინგის დახურვის შემდეგ, მუშები და გლეხები წითელი დროშებით გაემგზავრენ მუშათა რაიონში „ჩარხის წყალში", სადაც იყო მოწვეული მეორე მიტინგი. საათის 3 ზე მიტინგი გახსნა მუშა ამხ. რუბელევსკიმ. აქ ილაპარაკეს ამხ. მუშებმა, პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ. იქნა გახსნილი კლუბი, რომელსაც დაერქვა „მუშათა კლუბი". მუშათა კლუბის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სიამაიშვილმა.

დასასრულ გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა ს. პ. კ. პრეზიდიუმს.

საათის 5-ზე ბორჯომის სააგიტაციო მატარებელი გაემგზავრა წაღვერში, სადაც გაიხსნა მიტინგი. აქ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სიამაიშვილმა და სხვა ამხ. ბორჯომში ამ დღეს ჩამოვიდა ხაშურიდან სააგიტაციო მატარებელი, სადგურში გაიხსნა მიტინგი და სიტყვა წარმოსთქვეს ამხანაგებმა.

ქ. ბორჯომში იქნა უფასოდ დადგმული სალამოს „არსენა" ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ, ღირსნი არიან მადლობისა ის ამხანაგები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ; პიესა კარგათ იყო მომზადებული.

სანამ წარმოგენა დაიწყებოდა, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სიამაიშვილმა პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასე ორგანიზაციულათ და მხიარულათ მუშათა დღესასწაული არ ჩატარებულა ჯერ ბორჯომში.

ანდრო ციხის-უბნელი.

საგარეჯოს რაიონი.

დილით ძლიერ ცუდი ამინდი იყო, გამუდმებით წვიმდა, ხალხი მაინც თავს იყრიდა, როგორც რაიკომის წინ, აგრეთვე სავაჭრო მოედანზედ დილის 9 საათიდან. თერთმეტ საათზე ხალხი დაიძრა დანიშნულ ადგილისაკენ, წინ მიდიოდნენ კომპარტიის და ახალგაზდათა კომუნისტური კავშირის წევრები, შემდეგ მილიცია, მოწაფეები და მთელი ხალხი.

მიტინგი გაიხსნა თეატრის დარბაზში, მიტინგი გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კანდელაკმა. თავის წინასიტყვაობით ამხ. კანდელაკი მიესალმა საზოგადოებას. შემდეგ იმღერეს ინტერნაციონალი. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ი. ჯანელიძემ, რაიპარტკომის სახელით ამხ. ა. ხარაიძემ, ახალგაზდათა კომუნისტური კავშირის სახელით ამხ. ვ. ძაგანიამ, მასწავლებელთაგან ამხ. ე. გულისაშვილმა და სხვებმა. შემდეგ, ვინაიდან ცოტად გადაიდარა და დარბაზში ხალხი არ ეტეოდა, მიტინგი გავიდა მოედანზე. ამხ. კანდელაკმა გააკეთა მოხსენება 1-ლ მაისის შესახებ. ამ დროს აღმოსავლეთის მხრიდან მანავის გზაზედ გამოჩნდა წითელი დროშები. ესენი იყვნენ მანავის და თოხლიაურის პარტიული ამხანაგები. მათი დაგვიანების მიზეზი იყო ძლიერი წვიმა.

ამათ შემდეგ მოვიდნენ თოხლიაურის ბავშვები ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით, მისივე მეთაურობით თეატრის დარბაზში გაიმართა ბავშვთა წარმოდგენა. მიტინგის დახურვის შემდეგ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მიერ 1-ლ მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, საგარეჯოს უბნის იშრომელი გლეხკაცობა უძღვნით ძმურ, ამხანაგურ სალამს ყველა პროლეტარებს და მათ ბელადებს და ფიცსა ვდებთ, რომ უკანასკნელ სულის კვეთებამდე დავიცავთ მშრომელთა ხალხის ხელისუფლებას.

მიტინგის დასრულების შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, საღამოზედ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ხარაიძემ, შემდეგ იმღერა ხორომ. წარმოდგენილი იყო „გამცემი" სამ მოქმედებათ. პირველ მაისის დღესასწაულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საგარეჯოს უბნის გლეხობაზე.

მიტინგის შემადგენლობა დაახლოებით უდრიდა სამიათას კაცს.

ვ. სპა—რელი.

პროვინციაში

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია დუშეთის მაზრაში.

დუშეთის მაზრის ხელისუფლებას ყველაზედ დაუნდობელი მტერი მთელს მაზრაში, გაუჩნდა ყაჩაღები, რომელთა საქციელიც იწვევდა არევ-დარევას და შიშს მშვიდობიან მცხოვრებთა შორის, რადგანაც გზაზედ მგზავრს ყოველთვის მოელოდა საფრთხე და გაცარცვა ყაჩაღების მხრით. და მაზრის აღმასკომმაც მთელი თავისი ძალღონე ამ უმთავრეს მტრის წინააღმდეგ მიმართა, და ის ამ საქმეში სავსებით გამარჯვებული გამოვიდა.

1 აპრილს, მაზრაში გამოცხადებული იქნა ამინისტია ყველა ყაჩაღების და დეზერტირების მიმართ, ვინც კი თავის ნებით გამოცხადდებოდა მაზრაღმასკომში, მას სრულიათ ეპატიებოდა ძველი დანაშაული. ამ ნაბიჯებთან, ერთათ მიღებულ იქნა სათანადო რეპრესიული ზომები, როგორც ყაჩაღების, ისე მათი შემნახველთა წინააღმდეგ. ამის ცხოვრებაში გატარებისთვის მაზრაღმასკომის განკარგულებაში იყო თბილისიდან მოსული საკმაო შეიარაღებული ძალები. მთლათ მაზრაღმასკომს და პოლიტბიუროს განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალა ახწევდა ას კაცამდე.

28 მარტს, დუშეთიდან ყაზბეგის თემში გაგზავნილ იქნა 40 შეიარაღებული წითელი არმიელები, რათა მოესპოთ ამ თემში მომქმედი ყაჩაღები. რაზმმა შესძლო მხოლოთ გაფანტვა თემის საზღვრებიდან მთელი ყაჩაღების და ერთი ყაჩაღთა მეთაურის უბრძოლველათ ხელში ჩავდება გვარათ სანდრო გახოკიძესი, რომელიც მსახურობდა პოლიტბიუროში და შემდეგ შეუერთდა ბანდიტებს. დანარჩენი შეიარაღებულ ძალამ, რომელიც იდგა დუშეთში, ყაჩაღებთან ბრძოლა დაიწყო 8 აპრილიდან, რაც გაგრძელთა 14 აპრილამდე. ეს რაზმი უმთავრესათ მოქმედებდა ბაზალეთის, მცხეთის და საგურამოს თემებში.

მაზრაში ყაჩაღების ლიკვიდაცია მოხდა თავის ნებით. დანებდა მაზრ აღმასკომს შემდეგი ყაჩაღები. 1) ნიკა ჩხუტიშვილი, 2) გრიგოლ ჩხუტიშვილი, ესენი არიან სოფ საკრამულის მცხოვრებნი. მათ მოკლეს ერთი კაცი და ერთიც ქალი კერძო ინტერესით; 3) სანდრო გახოკიძე ყაზბეგის თემში მყოფ ყაჩაღთა მეთაური, ყოფილი თანამშრომელი, სამაზრო პოლიტ. ბიუროსი, 4) იოსებ ქიმბარიშვილი თავის ნებით გასული ყაჩაღათ, სოფ. ჰოპორტის მცხოვრები, 5) ლექსო ღარიბაშვილი, 6) იასონ ზეიკიძე, ყოფილ საგურამოს თემის მილიციის უფროსის მკვლელები, ამავ თემის მცხოვრებნი, 7) სარქის დინუაშვილი, 8) ვანო მოხევისშვილი, 9) აბრამ კენტელაძე,—სამხედრო დეზერტირები, რომლებიც თავს აფარებდნენ ტყეს და ცხოვრობდნენ, როგორც ყაჩაღები.

რაც შეეხება მათ, ვინც ნებით მაზრ. აღმს. კომს არ დანებდა, დაპატიმრებულნი იქნენ. და მოთავსებულნი სამაზრო გამასწორებელ სახლში. ესენია შემდეგი პირები:

1) ნიკოლოზ გელაშვილი, ყოფილი მილიციელი, 2) ფიდო ჩანდარი, 3) ბესო ჩანადირი—ყველა ეს ბანდიტები დაპატიმრებული იქნენ მაშინ, როდესაც ბაგის ქალაში მგზავრებს სცარცვადნენ, 4) მიხაილ გიორგის ძე ხუცულური სოფ. ხორხიდან,—(ჟინვალის თემში)—ჩუმი—ბანდიტი, 5) ბიწინტური, ძველი ყაჩაღი ამავ თემიდან, 6) ილო ნავოშვილი, სოფ. წილკნიდან (მუხრანის თემი), მოკლა ერთი კომუნისტი ცულით, გვარათ მაისურაძე, 7) ყაჩაღი კურდღელათ წოდებული სოფ. ახატნის მცხოვრები საგურამოს თემიდან. აი ის ყაჩაღები და კაცის მკვლელები, რომლებიც თავის ნებით არ დანებდნენ მთავრობას და იქნენ დაპატიმრებულნი. ყველა აქ ჩამოთვლილი პირები სათანადოთ უნდა გასამართლდეს. და მათ საქციელს დაედოს ღირსეული მსჯავრი, რათა ერთხელ და სამუდამოთ ეს კუზიანი ხალხი სამარემ გასწოროს.

ამის შემდეგ საჭიროა ითქვას, რომ თუმც მაზრაში ერთ-ნაირი სიწყნარე ჩამოვარდა, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარ დარჩნენ ჩუმი ყაჩაღები, რომლების ასალაგმავად ყოველთვის მაზრის აღმას. კომს. დასჭირდება საკმაო შეიარაღებული ძალა. საერთოთ ზაფხულში კიდევ არის მოსალოდნელი ყაჩაღების გაჩენა, განსაკუთრებით ყაზბეგის და საგურამოს თემში, რის წინააღმდეგაც სათანადო ზომები მაზრ. აღმასკომის მიერ ეხლავე მიღებულია.

საერთოთ ისეთი გამარჯვება ყაჩაღებზედ, როგორიც ეხლა მოხდა არც ერთი ძველი მთავრობის დროს არ ყოფილა და იმედია შემდეგში უკეთ იქნება მაზრის მდგომარეობა. მხოლოთ საჭიროა მეტი ყურადღება მთავრობის მხრით ამ ჩამორჩენილ მაზრისადმი.

გ. ლაფანაშვილი.

ზემო-გომი.

შიმშილობა. გომის რაიონი ერთი შესანიშნავი კუთხეთაგანია გორის მაზრაში თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, და განსაკუთრებით ჭირნახულის მოსავლით, მაგრამ 1921 წ. გვალვამ აქაც დაასვა თავისი დაღი, აქაც გამეფდა შიმშილი, და დღითი-დღე ძლიერდება: დამშეულთა რიცხვმა საგრძნობლათ იმატა და მათი მდგომარეობა აუტანელი ხდება.

დღემდის როგორც იყო, დამშეული გლეხობა საკუთარი ინიციატივით (სესხით, რამეს გაყიდვით) აკმაყოფილებდა თავისი ოჯახს, მაგრამ ეხლა ეს წყაროც დაუშრა, ვინაიდან შეძლებული „კულაკები" ცოტაა, და სადაც არიან, თუ ხელსაყრელი „სარგებელი" არ მიიღეს, არაფერს იძლევიან. ხშირათ ხდება, რომ მშიერი გლეხი 5 ფუთ სარჩოში აძლევს 1 დღიურ დათესილ მიწას; ამას რასა კვირველია „შინაურულათ" აჭახრაკებენ. მშიერი გლეხობა ერთი-ორათ იძლევა სარგებელს, მაგრამ წურბელა კულაკები ასეთი სიტყვებით უმასპინძლდებიან: „ბევრიც რომ მქონდეს წყალში ჩავყრი და თქვენ კი არ მოგცემთ"-ო.

ასეთი თავხედური სიტყვები ჰბადებს ერთგვარ სიძულვილს, რის გამო ხდება ზოგიერთი სოფლებში ძალადობა, ქურდობა, და სხვა არა სასურველი მოვლენა.

თესვის კამპანია. ქერის თესვა კარგა ხანია დამთავრდა. დაითესა თითქმის სიმინდიც, მხოლოთ დამშეული გლეხობაა ჩამორჩენილი, და ჩვენი უმთავრესი ყურადღება სწორეთ აქეთაა მიქცეული. პირველ ყოვლისა ჩავატარეთ მთელი რიგი სააგიტაციო მიტინგები: მივმართეთ ახსნა განმარტებით, თხოვნით ყველა შეძლებულ გლეხებს, რათა მათ გაეღოთ შეძლების დაგვარათ ჭირნახული სესხის სახით 10 პროც. სარგებლით. ყველგან აღგვითქვეს დახმარება. ყველა სოფლებში შევადგინეთ დამხმარე კომიტეტები, მაგრამ მათი მუშაობა ვერ მიდის მაინც-დამაინც ნაყოფიერათ: ზოგიერთ სოფლებში წინააღმდეგობას უწევენ, ზოგან ყველა ღარიბია და რას ჩამოართმევენ. არა სასურველი ინციდენტის ასარიდებლათ არ ვაძლევთ კომიტეტებს იძულებითი ჩამორთმევის ნებას, და რაც შეიძლება დაჯერებით, ძმური თხოვნით ვატარებთ თესვის კამპანიას. თუმცა ამ მხრივ მუშაობა არაა ჯერჯერობით თვალსაჩინო, მაგრამ იმედია, რომ არც ერთი დღის მიწა არ დაგვრჩება დაუთესავი, მხოლოთ, როგორც ზემოთ ავღნიშნე, დამშეულთა მდგომარეობა მეტათ აუტანელია და საჭიროა საჩქარო დახმარება საიდანაც ჯერ არს.

მოსავლის პირი. მოსავლის პირი მეტათ კარგია. ამ დროს ასეთი ტანის პური არ ყოფილა არასოდეს. ამინდები და წვიმები ნორმალურია, მხოლოთ სიცივეა ჯერ კიდევ, რის გამო ცოტათი დაზიანდა ხილეულობა და ვენახები. იმედოვნებენ, რომ თიბათვის პირველამდის ყანების თიბვა დაიწყება.

პოლიტიკური მდგომარეობა. გლეხების სულიერი განწყობილება საუცხოვოა. მიუხედავათ მრავალი ბოროტი ენებისა, რომლებიც „ორი-სამი კვირის ვადას იძლევიან ბოლშევიკების მოსპობამდის",— ხალხი არ უჯერებს ამ უნამუსო პროვაკატორებს. გლეხობაში ისე ღრმათაა გამჯდარი საბჭოთა მთავრობის სიმპატია, რომ ვერავითარი გაიძვერა ნაძირალები ვერ აღმოფხვრიან მას. დღეს აუწერელი შიმშილი და გაჭირვებაა მუშა-გლეხობაში, მაგრამ ვერც ერთს ვერ ათქმევინებთ ჩვენი პარტიის და მთავრობის ურიგოს.

სასურსათო გადასახადი. სას. გადასახადის აკრება დამთავრებულია. დღემდის მოკრებილია: ხორბალი 836 ფ. 28 გირ., სიმინდი 2,631 ფ 15 გ. ქერი 971 ფ. 27 გ. შვრია 10 ფ., კართოფილი 61 ფ. 19 გ., თაფლი 4 ფ., ერბო 8 გირ. ლობიო 24 ფ 31 გ. პურის, სიმინდის და ქერის ფქვილი 31 ფ. 9 გ.

გლეხების შეხედულება სასურსათო გადასახადზე უარყოფითი არაა. ერთათ ერთ უკმაყოფილებას იწვევდა მოუსავლობა და მოკრეფის დაგვიანება. გარდა ამისა სიებში იყო ბევრი შეცდომებიც, მაგ. 1 დღიურის მაგივრათ ეწერა 1 დესიატინა. არ იყო აგრეთვე შეფარდებული მიწების ავკარგიანობა. უკმაყოფილებას იწვევდა კიდევ ერბო-კარაქის და ღვინოს შეწერვა. საერთოთ გლეხობას ფულის გადახდას ნატურით ურჩევნია, მხოლოთ აუცილებლათ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ზემოთ აღნიშნულ დეფექტებს.

ა. ცაბაძე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 16.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადმინისტრატიულის წესით სასჯელის დადება შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

2. ადმინისტრატიულის წესით სასჯელის დადება შეუძლიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. ადმინისტრატიულის წესით დაიდება შემდეგი სასჯელი: ა) თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე, ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე, გ) ჯარიმა არა უმეტეს ათი მილიონი მანეთისა, რომელიც შეიცვლება იძულებითი მუშაობაზე ორ თვემდე, იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ-დადებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

4. დადგენილება ადმინისტრატიულის წესით სასჯელის დადების შესახებ უნდა ჩაიწეროს ოქმში, სადაც აღინიშნება სახელდობრ ვის, რა საფუძვლით, რა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის და რა სასჯელი დაედო; ამ დადგენილების ასლი უნდა ეცნობოს დასჯილს.

5. ადმინისტრატიულის წესით პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში სავალდებულო დადგენილების დარღვევის დღიდან.

6. ის პირი, რომელიც რაიმე დანაშაულობისათვის სასამართლოს წესით იქნება პასუხისგებაში მიცემული, არ შეიძლება იმავე მოქმედებისათვის ადმინისტრატიული წესით დაისაჯოს.

7. დადგენილება ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების შესახებ შეიძლება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მეშვეობით განსაჩივრებულ იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შვიდი დღის ვადაზე ადმინისტრატიულის წესით სასჯელის დადების შესახებ დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან.

8. არა კანონიერად და წინდაუხედავად ადმინისტრატიულის წესით სასჯელის დადებას თანა სდევს არა მარტო სასჯელის დადების შესახებ დადგენილების გაუქმება, არამედ ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირთა სამართალში მიცემაც, როგორც სასჯელ-დადებულ პირთა საჩივრით, ისე მეთვალყურეობის წესით.

9. რაიმე სავალდებულო დადგენილებით ისეთი ადმინისტრატიული სასჯელის დადება, რომელიც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის,—არ შეიძლება.

10. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 2.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა შესახებ.

1921 წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 № ით გამოცემულ დეკრეტის 26 და 27 მუხლის გასაუქმებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, რომელსაც თავისი მთავრობის სახელით მიცემული ექნება სათანადო რწმუნების გრამოტა საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური ფუნქციების შესასრულებლად და რომელიც ამ მიზნით იქნება მოსული საქართველოს ტერიტორიაზე —საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის და უცხო სახელმწიფოს მთავრობის შორის ჯეროვანი ურთიერთი მიმართვის შემდეგ.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ დიპლომატიურ კორპუსის შედგენილობაში, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის გარდა, შევლენ ის პირნი, რომელთა შესახებ მოხდება შეთანხმება სათანადო დიპლომატიური წარმომადგენლობისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შორის.

3. დიპლომატიურ წარმომადგენელს და დიპლომატიური კორპუსის წევრს აქვს შემდეგი უფლება და უპირატესობა:

ა) პირადი შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება ხსენებულ პირთა შეპყრობა არც ადმინისტრატიული, არც სასასამართლოს წესით;

ბ) კერძო ბინისა და სამსახური კანცელარიის შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება აღნიშნულ სადგომის გაჩხრეკა, დათვალიერება და დაბეჭდვა, თუ ამის თანხმა არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომლისგანაც საჭირო შემთხვევაში ეს თანხმობა გამოთხოვილ უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით;

გ) უფლება, რომლის ძალითაც იგი არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას არც სისხლის სამართლისა და არც სამოქალაქო საქმეებში, რის გამოც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს საწარმოებლად არ მიიღებს მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარს და სარჩელს, არამედ გადასცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალება ყოველგვარი ღონისძიების მიღება დიპლომატიური გზით დაზარალებულის დასაკმაყოფილებლათ;

დ) განთავისუფლება ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირადი, ნატურალური და ფულადი ბეგარისაგან.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული უფლება ვრცელდება აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენელისა და დიპლომატიური კორპუსის წევრის ცოლსა და შვილზე, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი.

4. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს, მე 3 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარდა, ეკუთვნის:

ა) უფლება დაუბრკოლებელი მიმართვისა თავის მთავრობისადმი და სხვა სახელმწიფოში მყოფ მის დიპლომატიურ წარმომადგენლებისადმი ღია და შიფრიანი დეპეშების გაგზავნით და აგრეთვე დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით;

ბ) უფლება კერძო და სასამსახურო სადგომზე, აგრეთვე მიმოსვლისათვის მის მიერ ხმარებულ საშუალებებზე თავისი ქვეყნის დროშის აღმართვისა.

5. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან მე-3 და მე 4 მუხლში ჩამოთვლილი უფლებანი გაავრცელოს იმ უცხოელებზედაც, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მოვლენ განსაკუთრებული პოლიტიკური მისიის განსახორციელებლად, აგრეთვე იმათზედაც, ვინც უცხო სახელმწიფოსთან დადებულ განსაკუთრებულ შეთანხმების ძალით უნდა შეასრულოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატიური ფუნქციები, თუნდაც ოფიციალური დიპლომატიური წოდებაც არ ჰქონდეს. ამ შემთხვევისათვის აღნიშნულ პირთ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა მისცეს სათანადო მოწმობა.

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ დიპლომატიური წარმომადგენელი, ან თითონ მარტო, ან მისიის მთელ შედგენილობასთან ერთად, დააპირებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან წასვლას, იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცემს თავის გაწვევის გრამოტას და მიიღებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან პასპორტს საზღვარ გარედ წასასვლელად, და ამასთანავე რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლამდე, როგორც თითონ იგი, ისე მე 2 მუხლში დასახელებული მისი თანამშრომელნი, სარგებლობენ ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული ყველა უფლებით.

7. დებულება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **სვანიძე**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 აპრილის 29,
ტფილისი—სასახლე.

სავალდებულო დადგენილება.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრისა

რაიონის საგადასახადო საკრებულო წარმოდგენილ სავაჭრო წიგნების განხილვისათვის ექსპერტის მოსაწვევად გადამხდელის ხარჯზე.

1. ყველა გადამხდელი, რომელიც მოისურვებს სავაჭრო წიგნების მიხედვით დაბეგვრას, ვალდებულია შეიტანოს ხაზინაში საგადასახადო განყოფილების გამგის განკარგულებაში მის სახელდახელო ანგარიშზე ექსპერტიზის ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხა.

2. ექსპერტიზის გასამრჯელოს ყოველ წლიურად აწესებს ფინანსთა სახალხო კომისარი.

3. 1921 წელში საშუალო ნორმა გასამრჯელოსი ერთი ფირმის სავაჭრო წიგნების ექსპერტიზისათვის დაწესებულია ერთი მილიონი მანეთი.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**
პირდაპირ გადასახ. გან. გამგე **ბეჟირგანიშვილი.**

4 მაისი 1922 წ.
ქ. თბილისი.

სარედაქციო კოლეგია

გაზეთის ტრესტის მთავარ
კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

განცხადება

ხუთშაბათს, 11-ს და პარასკევს 12-ს მაისს, 12 საათზე, ყოფილ მილიციის მთავარ სამმართველოს შენობაში (ველიამინოვის ქ. № 12) დანიშნულია:

საჯარო ვაჭრობა

იყიდება საწერი მაგიდები, სკამები, ტყავის კაბინეტი, სასტუმროს მოწყობილება, ელექტრონის ლუსტრები, სარკეები, შკაფები, ბუფეტი, რატატორი (რონდო), საწერი მანქანები, დივანი სავარძლები, საწერი მაგიდის მოწყობილება, ეტლი ორცხენიანი, ფურგუნი, მატყლი, რკინა და სხვა საგნები. ნახვა შეიძლება დილის 9—3 საათამდე.

(3—3)

სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომისიო კანტორა (ს. მ. უ. ს. „ცენტროტრამოტ")

თავისუფლების მოედანი (ერევნის მოედ.) ქარვასლა ყოფ. თამამშევისა.

აცხადებს ქალ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 6 მაისიდან იხსნება ავტომობილების რეგულიარული სამგზავრო და საბარგო მიმოსვლა **თბილის კოჯორ-მანგლისს** შორის და **თბილისსა** და **დუშეთს** შორის.

ავტომობილების გასვლის დროს, გადაყვანის და ბარგის გადატანის ღირებულების შესახებ გაგება შეიძლება აღნიშნულ კანტორაში.

ავტომობილების გასვლა თავისუფლების მოედნიდან (ერევნის მოედ).

(4—1)

კვირას, 14 მაისს, დილის 11 საათზე შესდგება კოოპ. „აღორძინება"-სი

წლიური საზოგადო რწმუნებულთა
კრება

(სასახლის ქ. № 5) კრება თუ თერთმეტი საათისათვის არ შესდგა ერთი საათის შემდეგ აღიარებულ იქნება კანონიერათ დამსწრე რწმუნებულთა რიცხვის მიუხედავათ. სხვა კითხვებთან ერთად საკითხი დგას გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევის.

(1—1)

განცხადება

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ კვირას 14 ამა მაისს დილით 12 საათზე 1922 წ. დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის ტფილისის **სასწორების** მდებარე თათრის, მალაკნის, დესიმონოვის მოედნებზე და ავლაბარში მდებარე ნუნუფაროვის ეზოში ცალკ-ცალკე.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში ყოველ დღე მე 2 ოთახში 10 საათიდან 2 საათამდე საიჯარო მაგიდის გამგესთან.

(3—1)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა, მოცემული ქალ. მილიციის სამმართველოსაგან № 4756, გრიგოლ არნაუტოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)

დაიკარგა

მეტრიკული მოწმობა ილია მინასოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)